შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21 (9.881)

15 - 22 ივნისი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციაც ის არის, რომ იზრუნოს საკუთარ მოსახლეობაზე და ყველაფერი გააკეთოს მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად“...

გვ.2

ჩვენ გავცემთ სითბოს და სიყვარულს...

გვ. 5-8

კონკურსის მონაწილეები დააჯილდოვეს

გვ.2

ვაშლოვანის ნაკრძალს ევრო-დიპლომის შესანარჩუნებლად ევროპული კომისია ამოწმებს

გვ. 7

გზა უფროსი მასწავლებლობისკენ...

გვ. 4

საგუნდო კოლექტივების კონკურსში დედოფლისწყარომ ოქროს და ბრინჯაოს მედლები აიღო

მიმდინარე წლის 10 აპრილიდან 2 ივნისის ჩათვლთ მიმდინარეობდა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების კონკურსი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით უკვე 5 წელია მიმდინარეობს. დასკვნით ღონისძიებას სალომე ზურაბიშვილიც ესწრებოდა. კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება და გალა-კონცერტი გაიმართა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

ეროვნული კონკურსი მიმდინარეობდა ორ ტურად რეგიონების მიხედვით. კონკურსში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდა სამი კოლექტივი. ყველა მათგანის გამოსვლები წარმატებული აღმოჩნდა:

B კატეგორია - ქართული ტრადიციული ხალხური სიმღერა - დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „მანდილი” (ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი), C კატეგორია- ქართული ტრადიციული გალობა - დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძრის მგალობელ გოგონათა გუნდი (ხელმძღვანელი თეონა ბენაშვილი) და C კატეგორია - ქართული ტრადიციული გალობა - წმინდა მეფე ვახთანგ გორგასალის სახელობის სკოლა-ინტერნატთან არსებული ვაჟ მგალობელთა გუნდი (ხელმძღვანელი ნინო ნიკვაშვილი). სამივე კოლექტივმა წარმატებით გაიარა პირველი და მეორე ტური და მიწვეული იყვნენ გალა-კონცერტზე და დაჯილდოებაზე - ქ.თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

კოლექტივები ლაურეატის დიპლომებითა და მედლებით დაბრუნდნენ მუნიციპალიტეტში. კერძოდ: გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „მანდილი” - ბრინჯაოს მედლითა და პირველი ადგილით, საკათედრო ტაძრის მგალობელ გოგონათა გუნდი – ოქროს მედლითა და პირველი ადგილით, ხოლო, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სკოლა-ინტერნატის ვაჟ მგალობელთა გუნდი - ბრინჯაოს მედლითა და მეორე ადგილით.

როგორც ანსამბლ „მანდილის“ ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი განმარტავს, ანსამბლის ორი წევრი საბავშვო ბანაკ „შაორში“ დაისვენებს, მათ 1 კვირიანი საგზური გადაეცათ.

„11 ბავშვი შეირჩა კახეთის რეგიონიდან და მათ შორის ორი ჩვენი ანსამბლის წევრია. ლიზი ყოჩიაშვილი და მარიამ ღორაკუდაშვილი რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში გაემგზავრებიან და საუკეთესო გარემოში უსასყიდლოდ დაისვენებენ. 1 კვირიანი პროგრამაა სპეციალურად მათთვის გათვალისწინებული. მათ შორის, შეისწავლიან ქართულ ხალხურ სიმღერებს, ჩაუტარდებათ სხვადასხვა შინაარსის მასტერკლასები, დღის რეჟიმში შედის გასართობი და სპორტული აქტივობები თუ ღონისძიებები. ამ კონკურსში ასეთი შედეგი რომ არ გვეჩვენებინა, ბავშვებს ეს შესაძლებლობა არ მიეცემოდათ. ბედნიერი ვარ, რომ ანსამბლი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა,“ - აღნიშნავს დალი ელისაშვილი.

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრში ამბობენ, ისინი ამაყობენ მოზარდების წარმატებით და ხელშეწყობას სამომავლოდაც პირდებიან.

C M Y K

„ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციაც ის არის, რომ იზრუნოს საკუთარ მოსახლეობაზე და ყველაფერი გააკეთოს მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად“...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტად რჩება მომავალ თაობაზე ზრუნვა. ახალგაზრდობის ბედნიერი მომავლისთვის მნიშვნელოვანია კარგი განათლების მიღება. ამიტომ, ხელისუფლების ამოცანაა, მოსწავლეებს შეუქმნას კომფორტული პირობა სკოლებსა და საადმზრდელო დაწესებულებებში. დედოფლისწყაროს რომელ საჯარო სკოლას ჩაუტარდება რეაბილიტაცია 2019 წელს, რამდენ ძუჩას ექნება ახალი ასფალტის საფარი და კიდევ რა სიახლეებია მოსალოდნელი დედოფლისწყაროში, ამის შესახებ მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გვესაუბრება.

„2019 წელი, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, საკმაოდ დატვირთული და აქტიური წელია. თანხები გაზრდილია, რაც გულისხმობს იმას, რომ უფრო მოცულობითი და მასშტაბური პროექტები განხორციელდეს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2019 წლიდან, სკოლების პრობლემების გადაწყვეტა უკვე მუნიციპალიტეტის ფუნქციებში გადმოვიდა, რაც ჩემის აზრით, ერთმნიშვნელოვნად მისასალმებელია. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის დატვირთვა ამით იზრდება, სწორია იმიტომ, რომ განათლების სამინისტროს, რომელსაც 3700 სკოლაზე მეტი ჰქონდა სამართავად, ერთი სამინისტროსთვის ეს არის ძალიან დიდი რაოდენობა და, შესაბამისად, ისე ოპერატიულად ვერ ხდებოდა რეაგირება, არსებულ პრობლემებზე, როგორც მუნიციპალიტეტის პირობებში მოხდება. მუნიციპალიტეტის მასშტაბით წარმოდგენილია 15 სკოლა და, დამეთანხმებით, რომ 15 სკოლის მოვლა-პატრონობა გაცილებით ადვილია, ვიდრე 3700 სკოლის. და ჩვენ ცოცხალი მაგალითები გვაქვს, როცა ამა თუ იმ სკოლას ჰპირდებოდნენ სხვადასხვა პრობლემის აღმოფხვრას, თუმცა, ეს სირთულეები კვლავ აქტუალურია.

როგორც ჩვენს მოსახლეობას მოეხსენება, 2018 წლის 18 დეკემბერს, გაფორმდა ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან „დაგი კონტრაქშენი“, სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით. 2020 წლისათვის აქ აშენდება თანამედროვე, ევროპული სტანდარტების, 300 ბავშვზე გათვლილი სკოლის შენობა, რისთვისაც საქართველოს მთავრობამ 5 მილიონ ლარზე მეტი გამოყო. ამ სკოლის პროექტირება უკვე დასრულებულია. სოფლისთვის აღნიშნული პროექტის დასრულება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან 2015 წელს სკოლაში გაჩენილი ხანძრის შედეგად სოფელი და მოსწავლეები სკოლის გარეშე დარჩნენ. ნაწილი ზემო მაჩხაანის კულტურის სახლს შეეხიზნა, ნაწილმა კი ძველი სკოლის პატარა ფლიგელში განაგრძო სწავლა.

მუნიციპალიტეტის დიდი აქტიურობით და განათლების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის წყალობით, წელს სრულდება გამარჯვებისა და ზემო ქედის სკოლების რემონტი. ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია და მივიღეთ თანამედროვე სტანდარტების სკოლა, სადაც ყველა ის პრობლემური საკითხია გათვალისწინებული, რომელიც დღეს აქტუალურია- სკოლა ადაპტირებულია შშმ პირებზე, დაწყებული პანდუსებით , დამთავრებული სპეციალური საჭიროების საპირფარეშოებით.

გამარჯვების სკოლის რეაბილიტაციაც უახლოეს მომავალში დასრულდება და ახალი სასწავლო წლისთვის ამ სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ახალ შენობაში გააგრძელებენ სწავლას.

წელს დაგეგმილია 5 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. სასწავლო პროცესი მთავრდება და უახლოეს მომავალში გამოცხადდება ტენდერი, რომელში გამარჯვებული კომპანიაც, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის რემონტს დაიწყებს. შეკეთდება სახურავი, საიდანაც წყალი ჩამოდის, განახლდება სკოლის შიგნით არსებული საპირფარეშოები, სრულად რეაბილიტირდება სკოლის ავარიული ნაწილი. პროექტის ღირებულება, სავარაუდოდ, 200 000 ლარით განისაზღვრება.

ასევე მოხდება ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. სკოლის გათბობის საკითხი მოგვარდა, თუმცა, გამოსაცვლელია ძველი კარ-ფანჯარა. მათი განახლების შემდეგ, ბავშვების უსაფრთხოებაც დაცული იქნება და სითბოს საკითხიც მოგვარდება.

არბოშიკის სკოლაში დაგეგმილია საკლასო ოთახების განახლება და მოსწავლეებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, სოფელ ქვემო ქედში არსებობს სკოლის ძველი შენობა, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწვა. ის სკოლის მოქმედ შენობასთან ახლოს მდებარეობს და საშიშროება არსებობს, რომ ბავშვების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნას. მოხდება ამ შენობის დემონტაჟი.და ტერიტორიის დასუფთავება, რაც მოსალოდნელ საფრთხეებს თავიდან აგვაცილებს. ასევე მოხდება სამთაწყაროს სკოლის გარემონტება, რაც მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტის 15 საჯარო სკოლიდან, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 5 სკოლას, ორის რემონტი თითქმის დასრულებულია, ერთი – ახლიდან შენდება, რაც იმას ნიშნავს, რომ 8 სკოლას პრობლემა მოუგვარდება, ხოლო დარჩენილ 7 სკოლას მომავალ წლებში მივხედავთ.

რეგიონალური განვითარების ფონდიდან გაიზარდა თანხა და მან 4 მილიონი ლარი შეადგინა. ამ თანხით ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი იხილავს

მზის სინათლეს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოების დიდი ნაწილი ჩვენ სოფლებში გავშალეთ. მაგალითად, სამრეკლოში, ე. წ. დამპალოს უბანზე, სადაც 400 000 ლარზე მეტი დაიხარჯა, უკვე დასრულდა გზის მშენებლობა. მაღალი ხარისხის გზა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას გააუმჯობესებს. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ქ. დედოფლისწყაროში პუშკინის ქუჩაზე, სადაც ახალი გზა დაიგო, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად, ასფალტის საფარის დაგებამდე, იქ განხორციელდა დაზიანებული წყლის მილების აღდგენა.

ზემო ქედში, ე.წ. გერმანელების უბანში დაიწყო ასფალტის საფარის აღდგენა. სოფლის მოსახლეობას არა მარტო ცენტრალური, არამედ შიდა გზებიც კომფორტული გადაადგილების საშუალებას მისცემს. ზემო მაჩხაანში ხორციელდება წმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. არბოშიკში საკმაოდ ძვირადღირებული-940 000 ლარიანი პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც ე. წ. უთრუთაანთ უბანს ახალი ასფალტის საფარით უზრუნველყოფს.

-მხოლოდ ქუჩებისა და სკოლის შენობების რეაბილიტაცია არ ნიშნავს ბავშვებზე ზრუნვას. რას აპირებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მომავალ თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით?

-მომავალი თაობა რომ ჩვენი პრიორიტეტია, ეს არ ახალია. ქ. დედოფლისწყაროში მოხდება ბარათაშვილის ქუჩაზე არსებული ძველი სტადიონის მასშტაბური რეაბილიტაცია. მარტო სტადიონი კი არ აღდგება, არამედ გაკეთდება ორი მოედანი და ბავშვებისთვის დამონტაჟდება ატრაქციონები. ისე რომ, ყველა ასაკის ადამიანს შეეძლება აქ დასვენება, გართობა და სპორტით დაკავება.

ქ. დედოფლისწყაროში მიმდინარეობს 7 ქუჩის რეაბილიტაცია. მოსახლეობას ალბათ კარგად ახსოვს ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება, რომლის მიხედვითაც არცერთი ქუჩა არ უნდა დარჩენილიყო ქალაქში ასფალტის საფარის გარეშე და ამ დაპირებას ვასრულებთ.

გარე განათება ყველას!-თითქმის ყველა სოფელი უერთდება ქალაქს, სადაც გარე განათების სისტემა მთლიანად მოეწყო. მასშტაბურად მიმდინარეობს სოფლების უზრუნველყოფა გარე განათების სისტემებით. მეორე პროექტია ლედ-სისტემების დამონტაჟება, რომელიც ხარისხითაც გამოირჩევა და სანდოობითაც. ქ. დედოფლისწყაროს ჰერეთის ქუჩაზე და ელიისკენ მიმავალ გზაზე დაგეგმილია ახალი ტიპის სანათების დაყენება.

ოზაანში სკოლამდე მისასვლელი გზა გაკეთდება. დედოფლისწყაროს ცენტრში მდებარე საავადმყოფოსთან ახლოს, გადაუდებელი სასწრაფო-სამედიცინო მომსახურების ცენტრი, ხოლო ვიზიტორთა ცენტრის (ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული ცენტრი) უკან კი- ახალი საზოგადოებრივი ცენტრი აშენდება. მისი მშენებლობის დასრულება წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი.

-სოფლების მცხოვრებლებისთვის კვლავ პრობლემად რჩება ადგილზე ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების საკითხი. ექიმებმა გაიარეს კურსები და მიიღეს ოჯახის ექიმის კვალიფიკაცია, მაგრამ მოსახლეობა კვლავ წუწუნებს, რომ სოფლების ამბულატორიებში მისვლა არ შეიძლება. რა გაქვთ დაგეგმილი ამ პრობლემის მოგვარების კუთხით?

-მუნიციპალიტეტზე გადმოვიდა სოფლების ამბულატორიებზე პასუხისმგებლობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, რომ დედოფლისწყაროში აშენდა ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საავადმყოფო, მაგრამ ყოველდღიურად, სოფლის მოსახლეობას არ უნდა სჭირდებოდეს ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემისას მუნიციპალიტეტის ცენტრში სიარული. ამიტომ, ყველა სოფელს უნდა ჰქონდეს ამბულატორია, სადაც ჩვენი პაციენტები მიიღებენ კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას. თითქმის ყველა სოფელში არსებული ამბულატორია უკვე მოძველებულია და საჭიროებს რეაბილიტაცია-გადაიარაღებას. ამიერიდან, საკუთარ მოსახლეობაზე მუნიციპალიტეტი იზრუნებს. ყველა სოფელში მოხდება ამორტიზებული ამბულატორიების რემონტი, ხოლო სადაც არ არის, იქ ახალი ამბულატორია აშენდება.

წელს აღდგა სოფლის განვითარების პროგრამა, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს ხალხში. მოსახლეობას თავისი სურვილისამებრ შეუძლია შეარჩიოს პრიორიტეტები საკუთარ სოფელში. მოქალაქეთა თვითშეგნების ასამაღლებლად, საკუთარ გარემოზე საზრუნავად, ეს არის საუკეთესო პროექტი. სოფლებში ჩატარებულ საერთო კრებებზე გამოვლინდა 28 პროექტი, რომელიც წელს აუცილებლად განხორციელდება. ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციაც ის არის, რომ იზრუნოს საკუთარ მოსახლეობაზე და ყველაფერი გააკეთოს მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

ფეხბურთზე შეყვარებული კაცი

მინი-დოსიე: ზურაბ ჩალაბაშვილი დაიბადა 1949 წლის 15 ივნისს ქ. წითელწყაროში. 1973 წელს დაამთავრა მუშა-ახალგაზრდობის სკოლა, 1974 წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომელიც 1981 წელს დაამთავრა. მას შემდეგ მუშაობს წითელწყაროს რაიონის ფეხბურთის მწვრთნელად, როგორც რაიონის ნაკრების მწვრთნელ-მოთამაშედ, ასევე უფროსი ასაკის აღსაზრდელთა მწვრთნელად. დღემდე ეწევა სამწვრთნელო საქმიანობას.

ზურაბ ჩალაბაშვილს დედოფლისწყაროში ყველა იცნობს. ის ადრეული ბავშვობიდან მოიწამლა ფეხბურთით და რიგითი ფეხბურთელიდან მწვრთნელის კარიერამდე საკმაოდ გრძელი გზა განვლო. „1964 წელს შემთხვევით გამოვიარე სტადიონზე და დავინახე, როგორ ვარჯიშობდნენ ჩემზე უფროსი თაობის ახალგაზრდები. იმ დღიდან შემიყვარდა სტადიონიც და ფეხბურთიც. 15 წლის ასაკში უკვე ვთამაშობდი ფეხბურთს. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის სხვა სახეობებშიც ვცადე ბედი და მძლეოსნობაში საკმაოდ კარგი შედეგები მქონდა, მთელი ჩემი ცხოვრება ფეხბურთს დავუკავშირე.მისმა სიყვარულმა ყველაფერს გადაწონა“-ამბობს ზურაბ ჩალაბაშვილი.

ბავშვობა

მე დავიბადე კოლმეურნის ოჯახში, იქ, სადაც შრომა და პატიოსნება მთავარ ღირებულებას წარმოადგენდა. ბავშვობა ჩვეულებრივი მქონდა, არაფრით გამორჩეული. გაჭირვებაც ვიწვნიე და საკუთარი შრომით მიღწეულით ტკბობის ბედნიერებაც. მე ჩემს ბავშვობაში ნაყიდი სათამაშოც კი არ მქონია. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი იყო, ომგადატანილ ქვეყანაში ყველას უჭირდა. სათამაშოები არ იყო, ან ძალიან იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. ჩვენი გართობის ძირითადი ნაწილი უბანში თამაშისგან შედგებოდა. სხვადასხვა, ძველი თაობის თამაშობები იყო. თონა-თონაობას, ქარაობას ვეძახოდით,ხშირად იყო ისეთი შემთხვევა, რომ ბურთს ვიშოვიდით,ერთ უბანს ე. წ. „აბალოჩკა“ ჰქონდა, მეორე უბანს-კამერა. ჩავდებდით, დავბერავდით და ვიწყებდით თამაშს. თამაშის დასრულების შემდეგ, ისევ ვიყოფდით ბურთის ნაწილებს. ამაზე არასოდეს ვჩხუბობდით, ძალიან შეგნებულად ვეკიდებოდით ამ ფაქტს. იყო ძალიან თბილი დამოკიდებულება ბავშვებს შორის. ეს იყო ნაწილი ჩვენი გაჭირვებული, მაგრამ მაინც განუმეორებელი და ტკბილი ცხოვრების ხანისა.

მეგობრები

მაშინდელი ბავშვები მეტად მეგობრულები ვიყავით. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის დამოკიდებულება, რაც მაშინდელ თაობას გვაკავშირებდა ერთმანეთთან. სხვადასხვა უბნის ახალგაზრდები ვხვდებოდით ერთმანეთს, იყო საქმის გარჩევაც, მაგრამ იარაღით ან ბასრი საგნებით შეიარაღებულებს არ გვივლია. ნებისმიერ წყენას თუ გაუგებრობას დიალოგის გზით ვაგვარებდით, მაქსიმალური იარაღი- მუშტი იყო. მუშტი-კრივის დროს ვინმე თუ წაიქცეოდა ან დაზარალდებოდა, მას ვაყენებდით და ვეხმარებოდით. საქმის გარჩევაც მალევე სრულდებოდა და შერიგებაც იოლად ხდებოდა. ბავშვობის მეგობრები დღემდე მომყვებიან. მათ რიგებს შეემატნენ შემდეგ სტუდენტობის წლებში შეძენილი ადამიანები. მერე ფეხბურთმა დამაკავშირა ბევრ კარგ ადამიანს. ვთვლი, რომ მეგობრები ჩემი სიმდიდრეა.

სკოლა და პირველი ტკივილი

ქალაქ წითელწყაროს პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ვიყავი ბეჯითი და სანიმუშო მოსწავლე, თუმცა, ერთმა ფაქტმა ჩემს მშვიდ გარემოში სწავლას წერტილი დაუსვა. ჯერ კიდევ დაწყებით კლასში ვსწავლობდი, როცა პედაგოგმა დაუმსახურებლად მომაყენა შეურაცხყოფა და დაბალი ნიშანიც დამიწერა. მის საქციელს პირადი მოტივი განაპირობებდა. ამ ფაქტმა მეც დამიკარგა სწავლის მოტივაცია. პედაგოგის გამო მშობლიურ სკოლათან, გარემოსთან და მეგობრებთან დამშვიდობება მომიხდა... სწავლაზეც გული ავიცრუე... ეს იყო პირველი ტკივილი, რომელიც ცხოვრებაში განვიცადე და რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია ჩემზე. დღეს მეც პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი და მთელი ამ წლების მანძილზე ვცდილობდი, ვყოფილიყავი საუკეთესო მეგობარი თითოეული ბავშვისათვის. ჩემი მწარე გამოცდილება მუდმივად მახსენებდა თავს...

კარგი პედაგოგი მაშინ ხარ, თუ ბავშვები გიყვარს, მხოლოდ საგნის სიყვარული ვერ გაქცევს კარგ აღმზრდელად. გაჭირვების წლებში, თუკი რაიმე თანხას ვშოულობდით, ისევ გუნდს და ბავშვებს ვახმარდი- მივდიოდი ლილოს ბაზრობაზე და ნორჩი სპორტსმენებისთვის ბურთებსა და სპორტულ ტანსაცმელს ვყიდულობდი. ასე შევინარჩუნე გუნდი და ასე გავზარდე ბევრი თაობა. ვცდილობდი, ბავშვები ქუჩისთვის ამერიდებინა და ფეხბურთის სიყვარული არ შეეწყვიტათ. მგონი, გამომივიდა. ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ისაა, როცა ჩემი ნამოწაფრები დღეს ღიმილით მხვდებიან და მათ თვალებში სიყვარულს ვხედავ.

სტუდენტობა

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სწავლით არ გამოვირჩეოდი, ბედმა ინება, რომ სტუდენტი გავმხდარიყავი. და რადგან სპორტში წარმატებული გახლდით, ფიზკულტურის ინსტიტუტში ვცადე ბედი. აუცილებელი მოთხოვნა, სპორტული ნორმატივები, უპრობლემოდ გავიარე, რის შემდეგაც მწვანე შუქი ამენთო. ფიზიკაში მთლად კარგად მომზადებული არ ვიყავი, ბილეთიც ისეთი შემხვდა, რომლის საკითხებშიც მოვიკოჭლებდი. გადავწყვიტე, გამოცდა დამეტოვებინა. მადლობა გადავუხადე გამომცდელებს და ღიად გამოვუცხადე, რომ ბილეთის საკითხები არ ვიცოდი. ამ კახური პირდაპირობით მოიხიბლნენ ლექტორები, ჩემი საქციელი ვაჟკაცურ ჟესტად ჩათვალეს და ნიშანი დამიწერეს. ასე გავხდი სტუდენტი. ინსტიტუტში საკმაოდ კარგად ვსწავლობდი, რადგან იქ იყო ის ატმოსფერო, რაც მე მჭირდებოდა. ვთვლი, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი.

სიყვარული

ჩემი და ჩემი მეუღლის – მარგო იაკობიშვილის სიყვარულის ისტორია ადრეულ ახალგაზრდობაში სამსახურში თანამშრომლობიდან დაიწყო, რომელიც ცოტა ხანში სამსახურებრივ რომანში გადაიზარდა – გვიყვება ბატონი ზურაბი თავსგადახდენილ ისტორიებს. დღეს მათ სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი ჰყავთ. ბედნიერები არიან, გაუძლეს ყველა ცხოვრებისეულ გამოწვევას და დღეს ხარობენ თავის მემკვიდრეებთან. სიამაყით აღნიშნავს, რომ ერთი შვილიშვილი გოგონა, რომელიც მეცხრე კლასის მოსწავლეა, კალათბურთელია და სპორტის სიყვარულში პაპას ჰგავს, მეორე კი ხატვითაა გატაცებული. დანარჩენები ჯერ პატარები არიან და მათ გატაცებებზე საუბარი ნაადრევია.

რა არის ბედნიერი ოჯახის საიდუმლო? – ჩვენი რესპოდენტი თვლის, რომ სიყვარულთან ერთად აუცილებელი პირობა ურთიერთპატივისცემაა. ამის გარეშე ნებისმიერი ოჯახი კრახისთვისაა განწირული.

კურიოზი

ერთ-ერთი თამაშის დროს, როცა ჩვენი გუნდი დაძაბულ ორთაბრძოლას აგებდა, მოწვეულმა მსაჯმა ჩვენი ფეხბურთელის დასჯა გადაწყვიტა, რომელმაც, ბუნებრივია, დაარღვია თამაშის წესები. ვხედავ, მსაჯმა ამოიღო წითელი ბარათი და მოთამაშეს უჩვენებს. მოგეხსენებათ, ეს ნიშნავდა მის მოედნიდან გაძევებას. ჩვენს გუნდს კი ერთით ნაკლები ფეხბურთელით მოუწევდა თამაშის გაგრძელება, რაც არასახარბიელო ვითარებას შექმნიდა. როდესაც წითელი ბარათი უჩვენა მსაჯმა კონკრეტულ მოთამაშეს, მან არ მიაქცია ყურადღება და გააგრძელა თამაში. სიტუაციის გამოსასწორებლად, მსაჯს ვუთხარი, რომ ეს ფეხბურთელი ყრუ იყო და მისთვის თავი დაენებებინა. მანაც დაიჯერა და თამაში ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. სიმართლე მატჩის დასრულების შემდეგ მაინც გაირკვა. აღშფოთებულმა და ამავდროულად, შეურაცხყოფილმა მსაჯმა მთხოვა, ეს ამბავი არავისთან მეთქვა. პირობა ვერ შევასრულე. ეს ამბავი ჩვენს საფეხბურთო სამყაროში დიდხანს დადიოდა ცოცხალ ანეგდოტად.

და ისევ ფეხბურთი...

ფეხბურთი მთელი ჩემი ცხოვრებაა. ძნელია, 15 წლის ასაკიდან თამაშობდე ფეხბურთს, შემდეგ მწვრთნელის რანგში იყო ათეულობით წელი, და არ გიყვარდეს ეს საქმე. მიხარია, რომ ბევრი კარგი ახალგაზრდა გავზარდე, მიხარია, რომ გოგონებიც ინტერესდებიან სპორტის ამ სახეობით, მიხარია, რომ ფეხბურთი, რომელსაც მთელი ცხოვრება შევალიე, მსოფლიოს ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი სპორტია. და რადგან შემიძლია, ასეთი სიყვარულით და აღელვებით ვისაუბრო მასზე, როგორც ცოცხალ არსებაზე, ე. ი. სიყვარული გრძელდება. მინდა, სანამ შემიძლია, კვლავ ბევრი თაობა გავზარდო, ბევრს შევაყვარო ფეხბურთი და ცხოვრების ჯანსაღ წესს ვაზიარო ჩვენი მომავალი თაობა.

მას, ვინც თამაშობს ფეხბურთს, სწავლობს გუნდურად მუშაობას, ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთგატანას, მეგობრობას. დიდი შრომის გარეშე სპორტსმენი ვერ გახდები.მაშასადამე, ფეხბურთი გაზიარებს ყველა იმ აუცილებელ ნიუანსს, რომლის გარეშეც ცხოვრებაში ფონს ვერ გახვალ.

15 ივნისს მას დაბადებიდან 70 წელი უსრულდება. გაზეთი „შირაქი“ უერთდება მრავალრიცხოვან მილოცვებს და უსურვებს ბატონ ზურაბს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ენერგიას, რათა დიდხანს ემსახუროს საყვარელ საქმეს.

ინგა შიოლაშვილი

კონკურსის მონაწილეები დააჯილდოვეს

10 ივნისს, ახალგაზრდულ ცენტრ „იბერიაში“ „Iჩშუ - დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა ასოციაციის მიერ“ გამოცხადებულ პროექტში გამარჯვებულ ბავშვებთან შეხვედრა და დაჯილდოვება გაიმართა.

„ICSU - დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება“ ყოველწლიურად ატარებს პროექტს, „გაიცანი ევროპა და განავითარე შენი რეგიონი“. წლევანდელი თემატიკა პროექტების ტურისტულ ჭრილში წარმოდგენას და სხვადასხვა რეგიონების ტურისტული პოტენციალის წარმოდგენას დაეთმო. დედოფლისწყაროში გამართულ პროექტების წარდგენაში 15 სპიკერმა მიიღო მონაწილეობა, სადაც ბავშვებმა წარადგინეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის განვითარების გეგმები. წარდგენილი პროექტებიდან გამოვლინდა 6 გამარჯვებული: ლიკა ჯანაშვილი (სოფ.ზემო მაჩხაანი), ჯაბა ჯამასპიშვილი (სოფ. ზემო მაჩხაანი), ირმა მკლავაშვილი (სოფ.ზემო ქედი), გიორგი ზუბიაშვილი (სოფ. არბოშიკი), თეკლა ჯიბღაშვილი (ქ.დედოფლისწყარო) და ნინო ცისკარაული (ქ.დედოფლისწყარო). გამარჯვებული სპიკერები 15 ივნისს, 1 კვირით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და „Iჩშუ - დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ ერთობლივი დაფინანსებით კაბადოკიაში გაემგზავრებიან. ისინი დაესწრებიან ICSU – CAPADOCIA “GEORGIAN DAYS“ - კაბადოკიაში გამართულ ქართულ დღეებს, სადაც საკუთარი რეგიონის უკეთ წარმოჩენის შესაძლებლობაც ექნებათ.

როგორც ერთ-ერთი გამარჯვებული, ლიკა ჯანაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აღნიშნავს, დაფინანსება 25%-იანი და 50-%- იანი ვაუჩერებით მოხდა, აქედან 50%–იანი დაფინანსება მიიღობა ოთხმა ბავშვმა, დანარჩენმა ორმა კი - 25%-იანი. დარჩენილი თანადაფინანსების თანხა კი 2100 ლარი, სრულად დააფინანსა მუნიციპალიტეტის მერიამ. „ჩემი პროექტი ქოჩების ტბის რეაბილიტაცია იყო, სადაც განვიხილე ტბის ახლანდელი პრობლემები, ის თუ როგორ შეიძლება მისი დასუფთავება და რა შეიძლება მოეწყოს მის ირგვლივ, რომ ეს ტერიტორია აქტიურად იქნეს ათვისებული“ - აღნიშნა ლიკამ. გარდა ქოჩების ტბის პროექტისა, ახალგაზრდებს წარმოდგენილი ჰქონდათ პროექტები ვაშლოვანის ნაკრძალზე, არწივის ხეობაზე, თამარის ციხეზე, ნეფროლოგიური სანატორიუმის აღდგენასა თუ დედოფლისწყაროს ტურისტული ადგილების რეკლამირებაზე. ასევე რაიონის საუკეთესო ფოტოების ტურისტული მიზნებისთვის გამოყენებაზე, ფოტო-გამოფენასა და შემდეგ კალენდრის დამზადებაზე. პროექტის გამარჯვებულები სიგელებით პირადად დააჯილოდოვა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. მერმა აღნიშნა, რომ მსგავს პროექტებს მერია ყოველთვის მიესალმება და მხარს დაუჭერს მათ განხორციელებას. ბავშვებს კი მშვიდობიანი მგზავრობა და წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში. შეხვედრას ასევე ესწრებოდა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის უფროსი აკაკი ნატროშვილი და პარტნიორი ორგანიზაციის, ENPARD-2-ის წარმოადგენლებიც. ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, შოთა კუკულაძემ, კიდევ ერთხელ მოიწონა წარდგენილი პროექტები და დედოფლისწყაროს ტურისტული ცნობადობის გაზრდის ღონისძიებებში ბავშვებს თანადგომა გამოუცხადა. მან კიდევ ერთხელ დააანონსა ორგანიზაციის სამომავლო საგრანტო კონკურსები, სადაც ისინი ახალ ინიციატივებს დააფინანსებენ. მისივე თქმით, ბავშვებმა, რომლებსაც აქვთ ახალ პროექტები და იდეები, სასურველი იქნება, რომ მიმართონ ორგანიზაციას, რაც, იმ ფონზე, რომ ახალგაზრდები ფაქტობრივად არ მონაწილეობენ კონკურსებში, ძალიან სასაიხარულო იქნება. შეხვედრა სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

გზა უფროსი მასწავლებლობისკენ...

2020 წლიდან განათლების სისტემაში მასწავლებელთა პროფესიული რეგულირების ახალი წესები ამუშავდება. ამ ცვლილებების ამოქმედებამდე, 2019 წლის ბოლომდე, პედაგოგებს პრაქტიკულად აქამდე არსებული წესებით შეეძლებათ სტატუსის ამაღლება. განსხვავება ისაა, რომ მათ, ვინც საჭირო კრედიტებს ზაფხულში ვერ დააგროვებს, ნოემბერში, განმეორებით გამოცდაზე გასვლის საშუალება მიეცემათ.

ყველა პრაქტიკოსმა მასწავლებელმა, რომელიც სტატუსის ცვლილების გზაშია, უნდა მოახერხოს 2019 წლის ბოლომდე, რომ შეიცვალოს სტატუსი და გახდეს უფროსი მასწავლებელი.

აღნიშნული ცვლილებები ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან საინტერესო და ასევე სენსიტიურია, თითოეული მშობლის ინტერესებში შედის კვალიფიკაციაამაღლებული პედაგოგები და მათი სტატუკვოები.შევეცადეთ ინტერვიუ ჩაგვეწერა პედაგოგებთან, რომლებიც გამოცდას აბარებენ სტატუსის ასამაღლებლად, თუმცა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ბევრმა თავი შეიკავა ჩვენთან საუბარზე, ამიტომ, გადავწყვიტეთ, ჩაგვეწერა პედაგოგი, რომელსაც უკვე ჩაბარებული აქვს გამოცდა საგანში და მხოლოდ პროფესიული უნარების გამოცდა ესაჭიროება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისთვის.

ელგა ხარაშვილი, – **ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგი** – 16 წელია, ვეწევი პადაგოგიურ საქმიანობას. დავიწყე წმინდა ნინოს სახ.საავტორო სკოლიდან, სადაც დიდი გამოცდილება მივიღე, სკოლა გამორჩეული იყო მოსწავლეთა კონტიგენტის აკადემიური ხარისხით, საგაკვეთილო პროცესი ყოველთვის იყო გეგმის მიერ მაღალ დონეზე მომზადებული. სკოლაში იყო დისციპლინირებული და ურთიერთმეგობრული გარემო, არ საჭიროებდნენ ბავშვები დამატებით მომზადებას, ყველაფერზე პასუხისმგებლობას სკოლა და მასწავლებელი იღებდა, ეს ყველაფერი მათ შედეგებზე აისახებოდა. 2009 წლიდან ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მასწავლებელი გავხდი, სადაც დამტებითი გამოცდილება შევიძინე ეთნიკური უმცირესობებით სავსე სკოლაში. აქაც ყველაფერს თავისებური ხიბლი აქვს, საინტერესოა სხვადასხვაენოვან მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ურთიერთობაც.

- ხართ პრაქტიკოსი პედაგოგი, რა გეგმები გაქვთ?

- რა თქმა უნდა , გავიარე რეგისტრაცია, ჩაბარებული მაქვს საგანი და დამრჩა პროფესიული უნარების გამოცდა, მაქვს მოლოდინი, რომ ჩავაბარებ.

რით გამოარჩევ თქვენს პროფესიას?

- მასწავლებლის პროფესია ძალიან საპასუხისმგებლო და საინტერესოა. კარგ მასწავლებელს ცოდნასთან ერთად ემოციის გადაცემა შეუძლია. იგულისხმება ის, რომ მასწავლებელს უყვარს თავისი საგანი. ინფორმაციას, როგორც ასეთს, არ აქვს ფასი, თუ ის ემოციურად არ გადაეცი. უემოციოდ გადაცემული მასალის დამახსოვრება ძნელია. მაგალითად, ისტორიას თუ შეგაყვარებენ, ის უფრო იოლად ისწავლება. ემოციის გადასაცემად საჭიროა ემპათია, მსმენელის დაინტერესება, პედაგოგიკაში ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტია. მისი არსი ის არის, რომ მასწავლებელმა უნდა შეაყვაროს თავისი საგანი მოსწავლეს. ხშირად საყვარელი მასწავლებლისა და საგნის გავლენის ქვეშ მოქცეული მოსწავლეები მართლაც იმავე ფაკულტეტს ირჩევენ ჩასაბარებლად. ის ფაქტი, რომ მასწავლებელი თავს გაყვარებს და მისი საგანიც გიყვარდება, მოსწავლის მომავალ ცხოვრებას მთლიანად ცვლის.

კარგი მასწავლებელი დიდხანს მუშაობს სკოლაში. სკოლა ის ადგილია, სადაც ბევრი რამ შეიძლება რთული იყოს, ძნელია მშობლებთან ურთიერთობა, ქაღალდომანიისა და დაბალი ანაზღაურების ატანა... მაგრამ, მასწავლებელი მითიური გმირივითაა, რომელმაც ისე უნდა შეძლოს ლავირება, რომ წყალქვეშა დინებამ არ გაიტაცოს და გაკვეთილებიც ეფექტიანი გამოუვიდეს. კარგი პედაგოგი დარწმუნებულია, რომ სკოლას შეუძლია, თანამედროვე მიდგომების მეშვეობით, აღზარდოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

როდესაც შენს ენერგიას მოსწავლის აღზრდაში და აკადემიური ცოდნის მიღებაში სდებ, ყოველთვის ელოდები შედეგებს და ასე მუდმივად გრძელდება. ჩემი აზრით, პედაგოგობა ის პროფესიაა, როდესაც სახელმწიფოს მშენებლობაში იღებ განსაკუთრებულ მონაწილეობას მოსწავლეთა აღზრდის პროცესით, უდიდესი ძალისხმევის ფონზე.

- რაზე ოცნებობთ, როგორც ისტორიკოსი?

- ძლიერ, განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრებაზე. ძალიან მომწონს თანამედროვე მიდგომები და აქცენტები, რეფორმები, განსაკუთრებით გამოვყოფდი ქართული დიპლომის ევროპულთან გათანაბრების ვარიანტს.

თქვენი აზრით, რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს მასწავლებელი, რომელიც 21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაბამის განათლებას მისცემს მოსწავლეს?

ორი რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი: პროცესი და შედეგი. პედაგოგი შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს. მან უნდა იცოდეს, ვის ზრდის. ეს პრობლემური საკითხია განათლების სისტემაში. თუ არ იცის პედაგოგმა, როგორ ადამიანს ზრდის, შესაბამისად, პროცესსაც ვერ დაგეგმავს. ამიტომ, როდესაც პედაგოგს ეცოდინება, რა შედეგზე უნდა გაიყვანოს მოსწავლე, მისთვის ადვილი იქნება პროცესის დაგეგმვა. განათლებით მე ისტორიკოსი ვარ. როდესაც ისტორიას ვასწავლიდი, თავიდან მიჭირდა, არ ვიცოდი, როგორ მესწავლებინა. ძალიან კარგი მასწავლებლები მყავდა გვერდით, რომლებმაც თავისი გამოცდილება გამიზიარეს. ეს ძალიან დამეხმარა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მნიშვნელოვანია, პედაგოგს შეეძლოს თავისი წარმატების სხვისთვის გაზიარება. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ პედაგოგი თუ თვითონ რაღაცას ვერ აკეთებს, თქვას, რომ არსებობენ ადამიანები, ვისაც შეუძლია მისი დახმარება. პედაგოგი უნდა იყოს ამბიციური, რომ ბევრი რამის მიღწევა შეძლოს და ამავდროულად თავმდაბალი, მუდმივად სწავლის პროცესში მყოფი. 21-ე საუკუნე არის ის საუკუნე, რომელიც განსხვავდება სხვა საუკუნეებისგან, ერთხელ ნასწავლი არ გყოფნის არათუ 50 წლის განმავლობაში, არამედ შეიძლება არ გეყოს, თუნდაც, 5 წლის განმავლობაში. პედაგოგი მუდმივად დინამიკური უნდა იყოს, განვითარებაზე ორიენტირებული. უნდა შეეძლოს სწორი დიაგნოზის დასმა, უნდა ხედავდეს, რა აკლია თავის მოსწავლეს და რა აკლია თვითონ. თავადაც მიიღოს ის, რაც სჭირდება და მოსწავლეებს დაეხმაროს, რომ ან მისგან მიიღონ, ან გზა აჩვენოს, რომ დამოუკიდებლად მიიღონ ესა თუ ის ინფორმაცია.

- განათლების სისტემის მთავარ გამოწვევად რას დაასახელებთ?

ჩვენი ქვეყანა უნდა შეთანხმდეს, როგორ თაობას ვზრდით. ვინ იქნებიან სკოლაში შესული ბავშვები 12 წლის შემდეგ ან, თუნდაც, 9 წლის შემდეგ? საზოგადოების მთავარი გამოწვევაა - გვინდა, რაც შეიძლება მეტი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი გვყავდეს, ამ დროს შეიძლება, მე, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, მჭირდება პროფესიონალი ხელოსანი და სულაც არ მჭირდება 2 დიპლომის მქონე სპეციალისტი. ამიტომ, კარგად უნდა გამიჯნოს ჩვენმა ქვეყანამ და ჩვენც, უმაღლესი განათლება არის საფეხური მეცნიერებისკენ და პროფესიული განათლება - საფეხური ყოფიერებისკენ. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რა უნდათ ცხოვრებაში. მასწავლებლის როლს ვხედავ, უფრო მეტად, როგორც დამკვირვებლის, რჩევისა და მიმართულების მიმცემის და არა გამძღოლის. რა თქმა უნდა, მასწავლებელი ლიდერი ხარ და სწორ გზას აჩვენებ, მაგრამ არა ისე, რომ აუცილებლად ყველამ შენს ნაფეხურებზე იაროს – შენ ბილიკი უნდა აჩვენო და მათ შეუძლიათ სხვადასხვა მიმართულებით იარონ ამ გზაზე. ამ პრიორიტეტებით მივედი სკოლაში და 13 წლის შემდეგაც იგივე პრიორიტეტები რჩება.ადამიანების მუშაობის ძირითადი მოტივაცია, ხშირ შემთხვევაში, ანაზღაურებაა, მაგრამ სკოლაში მუშაობისთვის მხოლოდ ეს მოტივაცია არ გამოდგება. გარდა ამისა, მასწავლებლობა იმდენად ცოცხალი პროცესია, რომ აუცილებლად მოგნუსხავს. არც ერთი გაკვეთილი ერთმანეთს არ ჰგავს და ადამიანისთვის, რომელსაც ერთფეროვანი საქმე არ უყვარს, ეს პროფესია ზედგამოჭრილია – გამუდმებით დინამიური, ცოცხალი პროცესი მიმდინარეობს – ცვლილებები, ძიება, მატება, სწავლა. რაც მთავარია, საკუთარ თავში ვითარდები. ამას, სამწუხაროდ, ბევრი არ აღიარებს, მაგრამ მასწავლებლები სწავლების პროცესში ძალიან ბევრს სწავლობენ.

-რას გვეტყვით სამოქალაქო განათლებაზე?

-ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი საგანია, ბევრ სასარგებლო და საჭირო რამეს ვასწავლით – საზოგადოებრივ ცხოვრებას, მასში ადაპტირებას, ქცევებს, ვესაუბრებით საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის ნორმების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენი ცნობიერება ამ მიმართულებით ძალიან დაბალია, ელემენტა-რული უნარები არ გვაქვს, ბავშვებმა შუქნიშანზე სწორად გადასვლა არ იციან, რის გამოც ვსაყვედურობთ, მაგრამ არ ვკითხულობთ, ასწავლეს თუ არა ეს უფროსებმა. ძალიან მომწონს ეს საგანი.

- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის, გისურვებ წარმატებებს და უფროს მასწავლებლობას უახლოეს მომავალში.

ელზა ხარაშვილი

ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობას განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება

ქართულ კულტურაში სიმღერას უაღრესად ღირსეული ადგილი უჭირავს. დედის ნანასავით ტკბილი, სიყვარულივით ამოუხსნელი და იდუმალი, მთის მდინარესავით მჩქეფარე - ამ სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ ქართული ხალხური სიმღერა. საქართველო მუსიკალური ქვეყანაა - ეს რეალური მოცემულობაა, რადგან ჩვენს ქვეყანაში დაიბადნენ გენიოსი კომპოზიტორები და მომღერლები. ბედნიერია ერი, რომელსაც ამ რანგის კულტურული საგანძური გააჩნია. ჩვენი პოლიფონია რომ განუმეორებელი ყღერადობისაა, ყველა თანხმდება - ქართველიცა და უცხოელიც. სწორედ ამ ყველაფრის ნათელი დადასტურება იყო 11 ივნისს ქართული ხალხული სიმღერის ანსამბლ „მანდილის“ მიერ გამართული კონცერტი.

– დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი დაარსდა 2007 წელს. მასში გაერთიანებული არიან გოგონები 8-დან 18 წლამდე. ვსწავლობთ ტრადიციულ ქართულ-ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს. ჩვენს რეპერტუარშია როგორც ქართლ-კახური, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები: მეგრული,აჭარული, სვანური და სხვა. ანსამბლის სოლისტები არიან ლიზი ყოჩიაშვილი და მარიამ ჯორკოშვილი, რომლებიც თავისი ნიჭით, შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით საოცრებებს ახდენენ. წლევანდელ საანგარიშო კონცერტზე შევძელით ისეთი ურთულესი კახური სიმღერების შესრულება, როგორიცაა „შენ, ბიჭო ანაგურელო“ და„ თამარ ქალო“. წინა წლებში ამ გოგონებს ნამღერი აქვთ ურთულესი„ დაიგვიანეს“, „გუთნური“, „კახური ალილო“, „ზამთარიო“. ამ სიმღერების შესრულება პროფესიონალებსაც კი უჭირთ, რადგან შემსრულებლისგან მოითხოვენ ხმის განსაკუთრებულ დახვეწილობას, კახური „ჩახუჭუჭების“ ფლობის ტექნიკას, უდიდეს შრომას. (უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალი მამაკაცი მომღერლებისთვისაც კი საკმაოდ რთული შესასრულებელია ეს სიმღერები).

ანსამბლი „მანდილი“ სისტემატურად იღებს მონაწილეობას რაიონულ, სამხარეო და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში. წელს უკვე მეოთხედ მივიღეთ მონაწილეობა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში, სადაც დავიმსახურეთ პირველი ადგილი და ბრინჯაოს მედალი, ასევე მოვიპოვეთ უფლება გვემღერა ქ.თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გალა-კონცერტზე. 2017 წელს ჩვენი სოლისტი ლიზი ყოჩიაშვილი დასახელდა საგუნდო კონკურსის საუკეთესო სოლისტად, ხოლო 2018 წელს ლიზი ყოჩიაშვილისა და მარიამ ჯორკოშვილის დუეტმა გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო კახური დუეტი.“ წელს საგუნდო საზოგადოებამ დააჯილდოვა ანსამბლის ორი წევრი უფასო საგზურებით საბავშვო ბანაკში, სადაც ბავშვები შეისწავლიან ხალხურ სიმღერებს, ჩაუტარდებათ მასტერკლასები, სპორტული და გასართობი ღონისძიებები. კახეთის რეგიონიდან სულ 11 ბავშვი შეირჩა, მათგან ორი„ მანდილის“-ს წევრია : ლიზი ყოჩიაშვილი და მარიამ ღორაკუდაშვილი.

დღევანდელი წარმატებები ვერ მიიღწეოდა წინა თაობის მომღერლების თავდაუზოგავი შრომის გარეშე. ჩვენი გუნდის წამყვანი სოლისტები იყვნენ ანა,მარიამ და ლიკა ლოლაშვილები, გვანცა ვარდიშვილი, ქეთი ჩაფიაშვილი, ნათია ლატარია და სხვები. ანა ლოლაშვილი და თეონა ბენაშვილი სწავლას აგრძელებენ ქართული-ხალხური სიმღერისა და გალობის უმაღლეს სასწავლებელში.

გასულ წელს საზეიმოდ ავღნიშნეთ ანსამბლის 10 წლის იუბილე, სადაც მონაწილეობა მიიღეს „მანდილის“ როგორც მოქმედმა, ასევე ყოფილმა წევრებმა – გვითხრა **დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დირექტორმა, გოგონათა ანსამბლ „მანდილის“ ხელმძღვანელმა,** ДАЛИ ЭЛИСАШВИЛМА. იგი დამსწრე საზოგადოებას მიესალმა, ქართულ პოლიფონიაზე მოკლე შესავალი გააკეთა და დაასახელა საღამოს წამყვანები: მარიამ ყოჩიაშვილი, ნინო ალუღიშვილი და მარიამ ღორაკუდაშვილი.

გოგონებმა ქართული- ხალხური სიმღერის ტრადიციასა და ქართულ პოლიფონიაზე ისაუბრეს, რასაც მოჰყვა ანსამბლ „მანდილის“ მიერ შესრულებული სიმღერები. გაიჟღერა ანზორ ერქომაიშვილის მოგონებებმა საქართველოს ბულბულად წოდებულ ჩვენს თანამემამულე ჰამლეტ გონაშვილზე. შესრულდა სიმღერა „შენ, ბიჭო ანაგურელო“. ამ სიმღერით მე-5 საგუნდო კონკურსზე წარსდგა ანსამბლი „მანდილი“ და დაიმსახურა საპატიო ბრინჯაოს მედალი. ლამაზი საღამო გააგრძელეს მოსამზადებელი ჯგუფის ბავშვებმა სიმღერით: „სალამური ლერწმისა„ და „აჭარული სიმღერა“.

წამყვანებმა მიმოიხილეს თამარ მეფის ეპოქა, რასაც მოჰყვა სიმღერა დიდ დედოფალ თამარზე. აგრეთვე შესრულდა საგალობელი. როგორი დიდებულიცაა სვანური ბუნება, ანალოგიურია სვანური სიმღერებიც. სვანური „ლილე“ დიდად ეხმარებოდა **მიხეილ ხერგიანს** ახალი მწვერვალის დაპყრობაში. მოუშუშებელი ტკივილი აფხაზეთი! ამ თემას მიეძღვნა სიმღერა „ჰერიო, ბიჭებო“ მარიამ ჯორკოშვილის შესანიშნავი შესრულებით. ლუკა ყაჭაშვილი და ნინო ალუღიშვილი აჭარული შაირებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. მეგრული სევდიანი სიმღერის შესრულებამდე გოგონებმა გაგვიმხილეს, რომ ცოტა გაუჭირდათ მეგრული გამოთქმების სწავლა,მაგრამ მიუხედავად ამისა, სიმღერის შესრულება, მართლაც რომ, დიდი ოსტატობით შეძლეს. საქართველოს ყველა კუთხის სიმღერა იყო შესრულებული ამ საღამოს. დიდი სიყვარულით ,სითბოთი და მაღალი ოსტატობით იყო ნამღერი ყველა სიმღერა.

–”წელს ანსამბლს ემშვიდობებიან მე-12 კლასელები: მარიამ ჯორჯოშვილი, ანასტასია ყოჩიაშვილი, თამთა ღორაკუდაშვილი, თამთა ფეიქრიშვილი და მალვინა ისმაილოვა. მიუხედავად დაძაბული გრაფიკისა, გოგონები ახერხებენ გაკვეთილებზე სიარულს და კონკურსებზე გამოსვლას. მინდა გზა დაულოცო ბავშვებს და ვუსურვო წარმატებები ეროვნულ გამოცდებზე. რა პროფესიაც უნდა აირჩიონ მათ, ვიცი, რომ სიმღერა მათი თანამგზავრი იქნება მთელი ცხოვრების განმავლობაში” -აღნიშნა თავის გამოსვლაში **დალი ელისაშვილმა.**

ყოველწლიურად ანსამბლში ხდება ახალი ბავშვების მიღება მოსამზადებელ ჯგუფში, მიიღებიან გოგონები და ბიჭები 8 წლიდან. სწავლა უფასოა. ერთი წლის შემდეგ ნიჭიერი გოგონები გადავლენ ანსამბლ „მანდილში’, ხოლო ბიჭები სურვილისამებრ სიმღერას გააგრძელებენ ქართული-ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლაში.

“ძალიან სასიამოვნოა, რომ დღეს დარბაზში არ არის მსმენელთა სიმცირე, გამორჩეულია დღევანდელი კონცერტი. დიდი მადლობა ქალბატონ დალის, ბავშვებს, იმ პატარებს,რომლებიც ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს. მადლობა მშობლებს, რომ აზიარეს ეს ბავშვები ქართულ სიმღერას, რომელიც აუცილებლად დაილექება მათ გონებაში და დაეხმარება, ჩამოყალიბდნენ კარგ და ღირსეულ ადამიანებად” - აღნიშნა თავის გამოსვლაში დედოფლისწყაროს მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახაგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ თამაზაშვილმა .**

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა **ილია მარტყოფლიშვილმა** მიმართა დამსწრე საზოგადოებას: ამ ბავშვებმა, რა პროფესიაც უნდა აირჩიონ, სიმღერა მთელი ცხოვრების მანძილზე მათი მეგზური იქნება. გარკვეულწილად მათ ქართული, ეროვნული კულტურის და სიმღერის სიყვარული ოჯახმა ჩამოუყალიბა, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ ოჯახებს. ბავშვებს, რომლებიც ტოვებენ ანსამბლს ვუსურვებთ წარმატებებს და ვაჯილდოვებთ სამახსოვრო სიგელებით.

კონცერტის დასასრულს საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქალბატონმა ДАЛИ ЭЛИСАШВИЛМА:

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბავშვების მშობლებს, რომლებიც თავიანთ შვილებს აზიარებენ ქართული ხალხური სიმღერის მადლს, აყვარებენ მშობლიურ კულტურას. დღევანდელი ინტეგრაციისა და გლობალიზაციის რთულ პირობებში ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობას განსაკუთრებული მოფრთხილება და ყურადღება სჭირდება, რათა მომავალი თაობები ეზიარონ ჩვენი წინაპრების დანატოვარ იმ უდიდეს საუნჯეს, რომელსაც ქართული-ხალხური სიმღერა და გალობა ჰქვია.

გაზეთი შირაქის რედაქცია ანსამბლ „მანდილს“ უსურვებს ბავშვთა სიმრავლეს და წარმატებებს მომავალში.

ხათუნა ბენაშვილი

ჩვენ გავცემდით სითბოს და სიყვარულს...

„ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“... - ეგზიუპერის ამ ცნობილი ფრაზით დაიწყო სამუსიკო სკოლის დარბაზში გამართული საკონცერტო შეხვედრა ღონისძიების წამყვანმა, კულტურის სახლის დირექტორმა და რეჟისორმა ცარო მარტიაშვილმა და დამსწრეთ შეეხედრის მიზეზი და მიზანი გააცნო: დღევანდელ ჩვენს შეხვედრას ვუძღვნით სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილ პედაგოგებს: **დოდო გიგოლაშვილს, თამარ ბერიძეს, ციცინო ჩაფიაშვილს, ნიაზი პაპუაშვილს, ლია გურგენიძეს, ელა გიგოლაშვილს, ციცინო ჯანიაშვილს** და ყველა იმ აღმზრდელს, რომლებმაც მთელი თავისი ენერგია და ცოდნა ათწლეულების მანძილზე ჩადო პატარა გოგო-ბიჭების გაზრდასა, აღზრდასა და განვითარებაში. გვინდა, მადლობა ვუთხრათ მათ განული ღვაწლისთვის, თბილად მოვეფეროთ, დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მხნეობა და ოჯახთან და შთამომავლობასთან ერთად მრავალი ბედნიერი დღე ვუსურვოთ. ჩვენ კი, როგორც პოეტი ამბობ, „ეხ, ნუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზეო“, ცოტა ხანს მაინც დავუბრუნდეთ ბავშვობას, მის განუმეორებელ ხიბლსა და სისუფთავეს. უპირველეს ყოვლისა, მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანის მიერ ცხოვრების განვლილი გზა.

ციცინო ჩაფიაშვილი-ვაჩაძე დაიბადა ლაგოდეხში, გასულ წელს მას 80 წელი შეუსრულდა, თუმცა მისი ვიზუალი ამას არ ადასტურებს. მან თავისი ცხოვრება დედოფლისწყაროელ ანზორ ჩაფიაშვილს დაუკავშირა, ჰყავს ოთხი შვილი, ძალიან წარმატებული 3 შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. შვილების აღზრდის პარალელურად დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი სწავლების ფაკულტეტი, 50 წელი მუშაობდა საბავშვო ბაგა-ბაღში, დაჯილდოვებულია „შრომის ვეტერანის მედლით“, სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით, მინიჭებული აქვს „მეთოდისტის“ წოდება.

ლიანა გურგენიძე-ბახუტაშვილი 1942 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ჯანდარაში დაიბადა. დაამთავრა თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ოჯახი შექმნა მიხეილ ბახუტაშვილთან. 1966 წელს გაიხსნა ქ. დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღი და ლიამაც თავისი მოღვაწეობა აქ დაიწყო. 42 წელი ემსახურა ბავშვების აღზრდას. აქვს მრავალი სიგელი, მადლობა და მედალი „სოციალურ შეჯიბრში გამარჯვებისთვის“. ჰყავს ქალ-ვაჟი - ნინო და მიხეილ ბახუტაშვილები, რომლებსაც რაიონი კარგად იცნობს მათი წარმატებული საქმიანობით, ხუთი შვილიშვილი, რომელთაგან ოთხი სტუდენტია, ერთი კი აბიტურიენტი.

გამორჩეული ბიოგრაფია აქვს ქალბატონ **თამარ ბერიძეს,** რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში მესხეთიდან თურქების შემოჭრისა და ქართული სოფლების აოხრების ავბედობას გამოქცეულ, იმ დროისთვის განათლებულ კაცად ცნობილ იოსებ ბერიძისა და მაგდა ლეკიშვილის ოჯახში დაიბადა 1937 წელს. 1957 წელს დაამთავრა თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ქალაქის №1 საბავშვო ბაღში, რომელსაც მსი ლეგენდარული გამგის მანია კვაჭანტირაძის დამსახურებით „კვაჭანტირაძის ბაღს“ უწოდებდნენ. აქ ჩამოყალიბდა ის, როგორც სპეციალისტი, სხვადასხვა ბაღებში მან ხუთ ათეულ წელზე მეტი იმუშავა და მუდამ სათნო და საყვარელი აღმზრდელის სახელი ჰქონდა. ორი შვილის და 5 შვილიშვილის პატრონს მზრუნველობას არ აკლებენ ახლობლები.

ნიაზი პაპუაშვილი 1946 წელს დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და თავისსავე სკოლაში დაიწყო მუშაობა. შემდეგ თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე ჩააბარა. ამასობაში ოჯახის შექმნის დროც მოვიდა, ბედი მმენეებელ-ინჟინერ ვალიკო გონაშვილს დაუკავშირა და საცხოვრებლად ქალაქ რუსთავში დაბინავდნენ. სწორედ რუსთავის 27-ე ბაგა-ბაღში შედგა მისი დებიუტი. სამი წელი იმუშავა და შემდეგ მშობლიურ წითელწყაროს დაუბრუნდნენ. სააღმზრდელო საქმიანობა №5 ბაგა-ბაღში გააგრძელა და 35 წელზე მეტი გაატარა ამ სამსახურში და მრავალი ჯილდოც დაიმსახურა. ქვეყანას ორი კარგი შვილი გაუზარდა: გოგიტა და მარინა. ამჟამად გოგიტა, თავის ოჯახთან ერთად, ავსტრიაში ცხოვრობს. ევროპულად, მაგრამ საქართველოს მშვენიერ ქალ-ვაჟს უზრდის. მარინა თბილისში, აბრეშუმის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელია.

ციცინო ჯანიაშვილი 1942 წელს სიღნაღის რაიონში დაიბადა, დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1968 წლიდან დაიწყო მუშაობა საბავშვო ბაღში და 45 წელი შეალია საყვარელ საქმეს, ამიტომაც მის არქივში მრავლად არის სიგელები, მადლობები, დიპლომები და მედლები. სპარტაკ ჯანიაშვილთან ერთად შექმნა კარგი ოჯახი, გაზარდა სამი შვილი და შვილიშვილები.

დოდო გიგოლაშვილი ქალაქ დედოფლისწყაროში დაიბადა 1951 წელს. ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა და და-ძმასთან ერთად ლაღად იზრდებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტზე გააგრძელა და სამსახურიც სპეციალობის მიხედვით ჯერ ქალაქის №1 ბაგა-ბაღში დაიწყო, შემდეგ კი №5 გააგრძელა დედის, გამოცდილი პედაგოგის თამარ კიკილაშვილ-გიგოლაშვილის მხარდამხარ, რომლისგანაც ბევრი რამ ისწავლა. ოთხ ათეულ წელზე მეტი შეალია ამ საქმეს და სულ მუდამ გამოირჩეოდა წარმატებული საქმიანობით და მაღალი ავტორიტეტით. გაზარდა ორი შვილი - ლევანი და დავითი.ისინი ახლა დედაქალაქში ცხოვრობენ და წარმატებულ საკონდიტრო საწარმო „მადას“ უდგანან სათავეში. ღირსეული ოჯახები შექმნეს, ლევანს სამი შვილი ჰყავს, დავითს - ჯერ-ჯერობით ერთი.

გულდასწყვეტია, რომ ავადმყოფობის გამო ღონისძიებას ვერც ქალბატონი დოდო დაესწრო და ვერც თამარი და ელა, მაგრამ მათ დამსახურებაზე წამყვანა ვრცლად ისაუბრა. მოგონებით და კურიოზებით გაიხსენეს განვლილი ცხოვრების გზა სცენიდან ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა. თითოეულმა მათგანმა მადლობა გადაიხადა ამ დაფასებისა და მათი პატივისცემისთვის და გამოთქვა დიდი გულისტკივილი თავის დროზე მათი სამსახურიდან „უბოდიშოდ“ და უღირსად გაშვების გამო, იმ პოლიტიკის გამო, რომელიც მაშინდელ მთავრობას ჰქონდა დამსახურებული ადამიანების მიმართ და „ჩარეცხილები“ უწოდა მათ, აგრეთვე იმ უშუალო ზემდგომის მიმართ, რომელმაც სამადლობელი სიტყვაც არ გაიმეტა მათთვის. რას ვიზამთ, წარსულს ვერ შეცვლით, მაგრამ დღევანდელობაში შეგვიძლია ამის გამოსწორება და სწორედ ამას ემსახურებოდა ეს საღამოც. რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურმა ითავა და მადლიერების ნიშნად თითოეულ მათგანს გადასცა მუნიციპალიტეტის მერიის დიპლომი ბავშვთა აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო იმ აღმზრდელ-პედაგოგებს, ვინც ამქვეყნად აღარ არიან.

(გაგრძელება გვ.8)

სუიციდი-თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი პრობლემა

თვითმკვლელობა ანუ სუიციდი – საკუთარი სიცოცხლის ხელყოფაა. თვითმკვლელობა შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი მიზეზით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, ყოველწლიურად ერთ მილიონზე მეტი ადამიანი იკლავს თავს, და აქედან, სიკვდილიანობის ყველაზე დიდი წილი მოზარდებსა და 35 წლამდე ახალგაზრდებზე მოდის. დაახლოებით 10-20 მილიონი შემთხვევა კი არასასიკვდილო შედეგით მთავრდება. სუიციდი ძალიან რთულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოშიც, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, რადგან სუიციდის მსხვერპლთა ასაკი ყოველწლიურად მცირდება. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სტატისტიკური მაჩვენებლები რეალურ სურათს ვერ ასახავს. ამაზე გავლენას ახდენს ის, რომ არავის სიამოვნებს თვითმკვლელობის ფაქტის გამჟღავნება.

თვითმკვლელობაზე მრავალი სოციალური ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის პოლიტიკური მდგომარეობა, სოციალური და ეკონომიკური ფონი ქვეყანაში, ურთიერთობა საზოგადოებასთან, თვითდამკვიდრების პრობლემა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა. ასევე უნდა ითქვას, რომ ქალებში თვითმკვლელობის მაჩვენებელი სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცებში: „სუიციდი – ეს არის საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა. თვითმკვლელობის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს, მათ შორის ყველაზე ხშირია დეპრესია, სირცხვილი, დანაშაულის განცდა, გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილი, ემოციური გადატვირთვა, აღელვება, ფინანსური პრობლემები. თვითმკვლელობის მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, დეპრესიული მდგომარეობა და ფსიქიკური აშლილობაა. ძლიერმა სტრესმა შეიძლება, გამოიწვიოს ისეთი აფექტური მდგომარეობა, რაც ადამიანს უბიძგებს, მოიკლას თავი. ადამიანი თვითმკვლელობამდე შეიძლება ახლობელი ადამიანის დაკარგვამაც მიიყვანოს. არსებობს ოთხი სახის სუიციდი, ესენია: ეგოისტური, ანომიური, ალტრუისტული და ფატალისტური. ალტრუისტული თვითმკვლელობა ხასიათდება ინტეგრაციის მაღალი დონით, ეგოისტური თვითმკვლელობა კი - ინტეგრაციის დაბალი დონით. რეგულაცია გულისხმობს გარე ზეგავლენას ხალხზე. ფატალისტური თვითმკვლელობა ხასიათდება მაღალი რეგულაციით, ანომიური თვითმკვლელობა კი - დაბალი რეგულაციით. ეგოისტური თვითმკვლელობის მაღალი დონე ისეთ საზოგადოებებში გვხდება, სადაც ინდივიდი არ არის ინტეგრირებული უფრო ფართო სოციალურ ერთეულში. ინტეგრაციის დაბალი დონე ინდივიდებში ქმნის უფუნქციობის შეგრძნებას" - ამბობს ფსიქიატრი მაია ბიბილური.

ფსიქოლოგებმა განსაზღვრეს ისეთი ოჯახის ტიპები, სადაც არსებობს თვითმკვლელობის პოტენციური საშიშროება. მოკლედ განვიხილოთ თითოეული:

1. **დეზინტეგრირებული ოჯახი** - დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი წევრების განცალკევებულობა, მათ შორის ემოციური კავშირის არარსებობა და სხვა.

2. **სუპერინტეგრირებული ოჯახი** - აქ საქმე გვაქვს წევრების პიროვნული ავტონომიურობის რღვევასთან. ისინი იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ვერ წარმოუდგენიათ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება. ამ შემთხვევაში ერთ - ერთის სიკვდილი იწვევს მეორის აბსოლუტურ უსუსურობას.

3. **დისჰარმონიული ოჯახი** - ხასიათდება მისი წევრების მოთხოვნილებების, მიზნების რადიკალური განსხვავებულობით, ურთიერთთანხმობის არარსებობით, საკუთარი ინტერესებისა და ჩვევების დათმობის უუნარობით და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ლიდერი დანარჩენებს მუდმივად თავს ახვევს საკუთარ სურვილებს და ითხოვს მათგან ქცევის შეცვლას.

4. **დახურული, თვითმყოფადი ოჯახი** - მისი წევრებისთვის ოჯახი წარმოადგენს ცხოვრების ძირითად აზრს, ყველაფერი დანარჩენი კი (სამუშაო და გარე ურთიერთობები) განიხილება, როგორც ოჯახური კეთილდღეობის შენარჩუნების საშუალება.

5. **კონსერვატიული ოჯახი** - მთავარ თავისებურებას წარმოადგენს გარეგანი ცვალებადი პირობებისადმი ადაპტირების უუნარობა. თუკი ასეთი ოჯახის ერთ - ერთი წევრი ოჯახის გარეთ არსებულ კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდება, სხვა წევრები თავისი კონსერვატიული შეხედულებებიდან გამომდინარე, არ ეხმარებიან მას და შესაძლებელია მოწინააღმდეგის მხარეც კი დაიკავონ.

რთული სათქმელია, თუ როდის გამოიკვეთა პირველად სუიციდის პრობლემა, თუმცა სუიციდის ხსენებისას ძნელია პირველად არ გაგიელვოთ იუდა ისკარიოტელის სახელმა. გარდა ამისა, მსოფლიოში მრავალი ფაქტი მოწმობს სუიციდის შემთხვევების სიმწვავეს. არაერთ ისტორიულ პირს დაუსრულებია სიცოცხლე თვითმკვლელობით (ჰიტლერი, ჰემინგუეი, გალაქტიონი), რაც მიუთითებს იმაზე რომ სუიციდი ნებისმიერი საზოგადოების, ეპოქისა თუ ფორმაციის თანმდევ მოვლენას წარმოადგენს. ეს პრობლემა არაერთი მეცნიერის თუ საზოგადო მოღვაწის ინტერესს იწვევდა. მათ შორის პირველი კვლევა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას ფრანგ სოციოლოგ ემილ დიურკემს ეკუთვნის, რომელიც მიუთითებს სუიციდის სოციალურ ასპექტებზე.

საინტერესო ფაქტორია ფანტაზიები სუიციდის გამომწვევ მიზეზთა შორის. გამოყოფენ ოთხი სახის ფანტაზიას:

1. შეერთება გარდაცვლილ პიროვნებასთან-სუიციდის ჩადენის მიზეზია, ადამიანი გაჰყვეს გარდაცვლილ პიროვნებას იმქვეყნად.

2. ხელახლა დაბადება- სუიციდი ხელახლა დაბადების საშუალებაა, რაც მიმდინარე პრობლემისაგან გაქცევის საშუალებას იძლევა.

3. საკუთარი თავის დასჯა- როცა ადამიანი აკეთებს იმას, რაც არ უნდა გაეკეთებინა, მიმართავს საკუთარი თავის დასჯას- სუიციდს.

4. შურისძიება- ზოგი ადამიანი სუიციდს ჩადის იმისათვის, რომ სხვებმა თავი დამნაშავედ იგრძნონ.

ამ საკითხთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ფსიქოლოგ ბესიკ გიგოლაშვილს : არსებობს სუიციდის ორი მიზეზი: ობიექტური და სუბიექტური. პირველია ცხოვრების სირთულე, რომელიც ბავშვებზე ახდენს დიდ ზეგავლენას (ეკონომიკური, სოციალური სირთულე) და სუბიექტური-მოუმზადებლობა ცხოვრებისათვის. საუბედუროდ, ჩვენი ცხოვრების კრიტერიუმები და აღზრდის სირთულე მიმართულია მომხმარებელი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ანუ ადამიანი საზოგადოებაში რომ გამოდის, ის არის მომხვეჭელი და არა შემქმნელი. არადა, ქმნადობაა ძირითადი საწყისი ადამიანისა. მარტო მონადირე არ შეიძლება იყოს ადამიანი, ის უნდა იყოს ძირითადად მწარმოებელი. ჩვენთან ძირითადად ბალანსი დარღვეულია იმ თვალსაზრისით ,რომ ქვეცნობიერად თუ გაცნობიერებულად, ბავშვს,აღზრდის პროცესში აჩვევენ იმას,რომ ის უნდა იყოს სიამოვნების ამღები და მიმღები, მაგრამ რამდენად ეკუთვნის ეს, არ განიხილება. ციცერონს აქვს გენიალური სიტყვები ნათქვამი -" რაც გინდა ყველაფერი, კი არ გეკუთვნის!". ჩვენი საზოგადოების სავალალო თვისება კი სწორედ ისაა, რომ მუდმივად აქვს სურვილი მიიღოს ის, რაც ხშირად ნამდვილად არ ეკუთვნის. ბავშვები ამას ხედავენ,ეს გარკვეულწილად წამქეზებლური მომენტია (შეიძლება ხანდახან შეუგნებელი აღზრდაც ამას აქეზებს), ამ დროს მას რეალურად ამ რესურსის შექმნა თვითონ არ შეუძლია და მზა სახით შექმნილის მიტაცებაზეა გადასული, თუ ეს არ შეუძლია გააკეთოს, მოდის კონფლიქტში საზოგადოებასთან, განიცდის თავისი საკუთარი არსებობის დაკნინებას და ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება უკიდურეს ფორმას მიმართოს.

რა შეიძლება გაკეთდეს ,რომ არ იყოს ტენდენცია ასეთი გამანადგურებელი?

23 საუკუნის წინ, სოლონს, რომელიც ბრძენად არის აღიარებული ,ჰქონდა დევიზი- არაფერი ზედმეტი. ეს მისი პირადი დევიზი იყო. ფაქტიურად, ეს არის პიროვნების ძალიან კარგი გამოხატულება. ჩვენი აღმზრდელობითი კულტურა არ არის ორიენტირებული იმაზე,რომ ადამიანი ზომიერებასა და თანაბარაჩქარებულობას მიაჩვიოს. ეს ჩვენი საბედისწერო შეცდომაა. რატომ არის გერმანია, სკანდინავიის ქვეყნები განვითარებული? სწორედ იმიტომ, რომ თანაბარზომიერებაა იქ აღზრდის ძირითადი პრინციპი და გარე სამყაროსთან ადამიანის დამოკიდებულებისა. რატომ დაიწია სუიციდის ასაკმა საქართველოში? საზოგადოებაში ფაქტიურად კონკრეტული პიროვნების თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაზე არ ხდება ორიენტირება, ჩვენთან ადამიანი იზრდება, როგორც მანკიერი საზოგადოების შემადგენელი ჭანჭიკი, რომელიც მოზარდს უბიძგებს სხვადასხვა მანკიერი როლის შესრულებას -ის ქვეცნობიერად თუ გაცნობიერებულად ვალდებულია, რომ მოიპოვოს აღიარება და შეასრულოს თავისი როლი. ჩვენ არ ვაყალიბებთ ბავშვებს იმ ადამიანებად,რომლებსაც შეუძლიათ თვითონ გააკეთონ რამე, თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება და პასუხი აგონ საკუთარ ქმედებებზე. ჩვენთან, სამწუხაროდ, არ არის ამაზე ორიენტირება. ხშირად ოჯახი და საზოგადოება ძალიან დიდ მოთხოვნებს უყენებს ადამიანს,მაგრამ კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს ამ მოთხოვნებამდე მისვლა ამ პიროვნებისა, ამის დეტალიზაცია ნაკლები არის. ბუდას სიტყვებია : ერთი მოძრაობა, მეორედ და მესამედ გამეორებული, ჩამოაყალიბებს ჩვეულებას, ჩვეულება ჩამოყალიბდება ჩვევაში,ჩვევა ყალიბდება ხასიათში და ხასიათი ქმნის ადამიანს. ჩვენთან საუბედუროდ მოთხოვნებს ვუყენებთ ადამიანს, მაგრამ კონკრეტულად როგორ მიაღწიონ, აბსოლუტურად თავის თავზე აღებით, როგორ მიაღწიონ, თვითკმარნი როგორ გახდნენ, ამას ნაკლებად ვასწავლით. ჩვენთან ძირითადი პრინციპია- მოიპოვე უკვე შექმნილი,არსებული და ეს მოპოვება ითვლება ღირსებად. მოზარდებში ხშირად სუიციდის მიზეზია ის, რომ ხშირად ეუბნებიან მას, რომ არის არასრულფასოვანი პიროვნება და უყენებენ იმაზე უფრო მეტ მოთხოვნებს, ვიდრე მას რეალიზება შეუძლია და მეორე, შეიძლება ეს იყოს ყურადღების მიქცევის მცდელობა, ანდა ვინმეს დასჯის მცდელობა.

თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს პრევენციის მიზნით?

გარკვეულწილად, ყველა ჩვენთაგანმა უნდა გამოვიჩინოთ გულისხმიერება, საზოგადოება, მეტ-ნაკლებად დამნაშავე ვართ იმ პიროვნების წინაშე, ვინც ასეთ საბედისწერო ნაბიჯს გადადგამს. შეიძლება ადამიანმა თავი ცალკეულ შემთხვევებში მარტოსულად იგრძნოს, მაგრამ უბედურად მარტოსული არ უნდა იყოს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ ერთმანეთში აღმოვაჩინოთ დადებითი თვისებები. ქვეცნობიერად ჩვენი საზოგადოების დაკნინების ფორმა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ხშირად ვეძებთ ერთმანეთში უარყოფით თვისებებს და რომ აღმოვაჩენთ, გვიხარია,მაშინ, როცა საერთო უბედურების განცდა უნდა გვქონდეს ამ შემთხვევაში. შემდეგ ეს ყველაფერი ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან. ნუ დავაბრალებთ გარე ფაქტორებს,ჩვენ არ ვიყავით ამისათვის მზად, გარედან ვერ შევითვისებდით ამდენ მანკიერებას, ამიტომ შინაგანი განწმენდა და კათარზისი უნდა მოხდეს. უნდა მოხდეს გაანალიზება,რა არის ეს პრობლემა, რომელიც ჩვენში არის. უნდა ვიცოდეთ ადამიანის ფასი.მეტი გულისხმიერება და თანადგომა უნდა შევძლოთ.

შესაბამისად კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა სუიციდის პრევენცია? პასუხია კიც და არაც. ბევრი გზა არსებობს დასახმარებლად, თუმცა, ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, რის გამოც ჭირს ზოგადი დასკვნების გაკეთება. სუიციდთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ პროფესიული წრეების, არამედ ოჯახის წევრების, მეგობრების გაძლიერება, ყურადღება, სითბო და სიყვარული.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილი

ვაშლოვანის ნაკრძალს ევრო-დიპლომის შესანარჩუნებლად ევროპული კომისია ამოწმებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები ევროპული დიპლომის ვადის გასაგრძელებლად ემზადება. ცნობილია, რომ 2015 წელს ნაკრძალს, ევროპული აღიარების ნიშნად, სპეციალური დიპლომი გადაეცა. იმთავითვე ითქვა, რომ დიპლომი 5 წლის ვადით გაიცემა და ვაშლოვანის ადმინისტრაციას ვადის ამოწურვამდე ხელახლა უნდა ეზრუნა, შეინარჩუნებდა თუ არა ამ წოდებას მეორე ვადით.

გასულ კვირას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ევროპიდან სპეციალური კომისია ეწვია. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს ევროპის კომისიის ევრო დიპლომის შემფასებელთა მისიის წარმომადგენელი-ექსპერტი პიერ გალანი სტუმრობდა.

ექსპერტი შეაფასებს დაცულ ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობას და მის მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, გადაწყდება გადაეცემა თუ არა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს ევრო დიპლომი 2020 წელს, მეორე ვადით.

ვიზიტის ფარგლებში, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში გაიმართა სხვადასხვა შეხვედრა ადგილობრივ მთავრობასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, პიერ გალანი ნაკრძალის ტერიტორიაზეც გავიდა და ადგილზე დაათვალიერა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა და შეისწავლა არსებული მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ ევრო დიპლომი ვაშლოვანის დაცულმა ტერიტორიებმა 2015 წელს, 5 წლის ვადით მიიღო. 2015 წლის 3 ივნისს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს განათლებაზე, კულტურაზე, სპორტზე, ახალგაზრდობასა და გარემოს დაცვაზე მომხსენებელი ჯგუფის (GR-C) 26 მაისის გადაწყვეტილება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის ევროპული დიპლომის გადაცემის შესახებ. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების (ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, და სამი ბუნების ძეგლი: ტახტი-თეფას ტალახის ვულკანი, ალაზნის ჭალის ტყე და არწივის ხეობა) ევროპული დიპლომის კანდიდატად წარდგენა მოხდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, 2014 წლის დასაწყისში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა წინამდებარე რეზოლუციაში აღიარა ამ ტერიტორიების ევროპული მნიშვნელობა მათი შესანიშნავი ლანდშაფტის, განსაკუთრებული გეოლოგიური მახასიათებლების, მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის, მათ შორის იშვიათი სახეობების და ევროპული ბიომრავალფეროვნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ეკოსისტემების არსებობის გამო.

აღნიშნული ტერიტორიები მინისტრთა კომიტეტმა 2020 წლის 3 ივნისამდე ევროპის საბჭოს პატრონაჟის ქვეშ შემდგომი ორი პირობით აიყვანა:

2015 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის უშუალო საზღვართან მდებარე თავშესაფრების გადატანა და ნაკრძალში არსებული საძოვრების შესახებ მარეგულირებელი ნორმების მკაცრი აღსრულება;

დაჩქარდეს საძოვრების მართვის ამომწურავი და მდგრადი გეგმის პროექტის შემუშავება, სოციო-ეკონომიკური ფონის და საძოვრებად ტერიტორიების გამოყენების, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ზეგავლენა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი შენარჩუნების კუთხით. პროექტი 2016 წლის ბოლომდე უნდა წარედგინოს ევროპული დიპლომის სპეციალისტებს და იგი უნდა ითვალისწინებდეს ალტერნატიულ საძოვრებს იმ ტერიტორიებიდან გონივრულ მანძილზე მოშორებით გადატანას, რომელთა გამოყენებაც ამ დანიშნულებით აკრძალულია. მინისტრთა კომიტეტმა ასევე მოუწოდა საქართველოს დიპლომის მთელს ტერიტორიაზე არსებული საძოვრების შესახებ მარეგულირებელი ნორმების დაუყოვნებლივ აღსრულებისაკენ და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საძოვრებად გამოყენების შესაძლებელ დონემდე შეზღუდვისაკენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას ასევე შვიდი რეკომენდაცია მისცა. ჯილდოს შემდეგი შვიდი რეკომენდაციით მიმაგრებულია:

დიპლომის ტერიტორიის ოპერატიული და ყოვლისმომცველი მონიტორინგის პროგრამის შემუშავება და დაფინანსება; ეს პროგრამა უნდა იყოს ფოკუსირებული დიპლომის არეალის კონკრეტული ბუნებრივი და ლანდშაფტური თვისებები და მასზე ანთროპოგენური ზეწოლა; პროგრამის მომზადება და განხორციელება ტურისტებისა და სტუმრებისთვის საველე აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და განახლების მიზნით; ჯიშების და ჰაბიტატების (განანილება, სიმრავლე, კონსერვაციის მდგომარეობა და ტენდენციები) ინვენტარითა შევსება, რაც გათვალისწინებულია Emerald Network-ის სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიუჯეტი უზრუნველყოს შიდა წყაროებიდან, სასურველია უზრუნველყოს დაფინანსება, რათა უზრუნველყოს, რომ 2013-2019 წლების მართვის გეგმა სრულად განხორციელდეს; შემდგომი მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი დროულად დაიწყოს, რათა დაფაროს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ევროპული დიპლომის ჯილდოს მთელი პერიოდი; გააუმჯობესოს პერსონალის კვალიფიკაცია აამაღლოს უნარჩვევები, განსაკუთრებით ეკოლოგიის სფეროში, სახეობების ცოდნა და მონიტორინგი.

მსგავსი დიპლომი ევროპის მასშტაბით მხოლოდ 28 ქვეყნის 73 დაცულ ტერიტორიას აქვს მინიჭებული. იგი სამეცნიერო, კულტურული ან ესთეტიკური ღირებულებების თვალსაზრისით გამორჩეულ დაცულ ტერიტორიებს განსაზღვრული ვადით გადაეცემა. მეორე ვადით მინიჭების შემთხვევაში ნაკრძალი კიდევ უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს. რამდენიმე თვეში გაირკვევა, რამდენად გაითვალისწინა საქართველომ პირობით წამოყენებული რეკომენდაციები და შესრულდა თუ არა მოთხოვნები იმდენად, რომ ევრო დიპლომი მომავალი წლიდან კვლავ დედოფლისწყაროში დარჩეს.

ხსოვნა

ილიკო შარვაძე



მე დავიბადე ვეფხვის წელში, ვეფხვივით მარდი, ჩემი ბედი და მომავალი თან დამყვა მაშინ.

ჩემო ილიკო, გილოცავ დაბადების დღეს, 21 ივნისს 45 წლის გახდებოდი, შვილო. ბედნიერი რიცხვი იყო ჩემთვის 21, რადგან ამ დღეს გავხდი დედა, დედობა ხომ ქალის ახალი ცხოვრების დასაწყისია. ამ დღიდან ჩემი პირადული თითქმის აღარ მახსოვდა, მხოლოდ შენით ვცხოვრობდი, შენ იყავი ნათელი სხივი, ჩემი სიცოცხლის აზრი და მიზანი. მაგრამ ვაი,რომ ეს ბედნიერი წლები ხანმოკლე აღმოჩნდა ორივესთვის, ჩემო დედისერთა ბიჭო, 38 წლის ასაკში დასრულდა შენი სიცოცხლე და მომავალი.

მეშვიდე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს , როგორ ველოდებოდი შენს დაკაცებას, მაგრამ არც შენ გეღირსა დაკაცება და არც მე ბედნიერი და უზრუნველი სიბერე,ჩემო მარად ჭაბუკად დარჩენილო, ჩემო ერთად-ერთო სანთელო.

ჩემო ილიკო, სულ გეჩქარებოდა, თითქოს გინდოდა ყველაფერი რომ მოგესწრო, ნუთუ შენი გული გრძნობდა წინასწარ ნაადრევად სიცოცხლის დასასრულს.

ბედნიერი ბავშვობა გქონდა, არ გაკლდა წარმატებები: წარჩინებული მოსწავლე, წარმატებული მოცეკვავე, კარგი სტუდენტი იყავი და მეც ამით ბედნიერი და გახარებული ვიყავი.

ღვთის მადლით დაჯილდოვებული იყავ კეთილი, სათნო ბუნებით, ფიზიკური და სულიერი სილამაზით, ნიჭით, განუმეორებელი იუმორით, ზღვა სიყვარულით და რაც მთავარია, სანდო და უღალატო მეგობრობით. ამიტომ დატოვე დაუვიწყარი სახელი შენს ახლობლებსა და მეგობრებში, შენი ხალისიანი ბუნება ყველას სამეგობროდ განაწყობდა. დარწმუნებული ვარ, რომ შენი უახლოესი მეგობრები მოგიგონებენ, ცოცხლად გადღეგრძელებენ და მოგილოცავენ დაბადების დღეს.

საშინელებაა, როცა დედა შვილის დაბადების დღეს იგონებს და თან ცრემლები აღრჩობს. ამ ძლიერ მონატრებას დრო ვერ შეცვლის, ვერ შეცვლის დედა– შვილობას, მაგრამ ვაი, ასეთ შენს დედას და ჩვენს უდროოდ დაშორებას. შვიდი წელი რა ცოტაა მოსასმენად და რა დიდი დროა სიშორისთვის.

მეშვიდე წელია, აღარ გამიგინია შენი ხმა და სიყვარულით წარმოღქმული „დედა“, „დე“...აღარ დამინახია შენი ღამაზი, ცისფერი თვალები, შენი ღიმილი“, რომელიც დედის გულს სიყვარულით ავსებდა, მაგრამ რა ვქნა, ბედისწერასთან უძლური ვარ, სატკივარს გულში ვიკლავ, გული კი ტკივილით და მონატრებით მაქვს სავსე, შენ კი შენს საყვარელ მამასთან ხარ ზეციურ სასუფეველში და იქ აღნიშნავთ შენს დაბადების დღეს.

შენ აღარ ხარ ფიზიკურად, თორემ შენ ისევ ჩემთან ხარ, ჩემს გულში და გონებაში. არ გეგონოს, მე ცოცხალი ვარ, მე შენთან ერთად მოვკვდი, შვილო.

ამ დღით საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი, ვფიქრობ შენზე, ვსვავ კითხვებს, სად გადის დედა-შვილობის ზღვარი?!- როგორ ვეგუები უშენობას. შენს მონატერებას ვერაფერი შველის- ულმობელია წუთისოფელი, რაც წავიდა, აღარასოდეს დაბრუნდება, ყველაფერი გადაიქცევა დარდად და მოგონებად. ყოველ ღამე ვიძინებ იმედით და იმ სურვილით და ოცნებით, რომ იქნებ სიძმარში მაინც გიხილო, ჩემო ექვსი წლის მონატრებულო შვილო.

ბუნებაში არაფერი იკარგება, შენი სიკეთე და სიყვარული გაგრძელდება შენს ლამაზ შვილებში: ნიასა და ილიკოში, შენს (მომავალ) შვილიშვილებში და მჯერა, რომ შენს სახელს არასოდეს შეარცხვენენ. მათი ნუგეში შენს საფლავზე მოსვლა და სანთლების დანთებაა, იმ სანთლებისა, რომელიც გზას გაგინათებენ მარადიულ სასუფეველში.

ჩემო დიდი ტკივილო, ვიცი ცოცხალი რომ ყოფილიყავი, როგორც აღნიშნავდი ამ თარიღს შენს ახლობლებთან ერთად. კაცს უნდა ჰქონდეს ორი სახელი, თან წასაღები და აქ დასარჩენი. შენ სწორედ ამის მაგალითი ხარ, სიყვარულით გაჟღენთილი გულით, ჩემო ილიკო. ნათქვამია, სანამ ხსოვნა ცოცხლობს, ადამიანი ცოცხალიაო. შენ იმდენი სიყვარული დატოვე,რომ შენს სახელს დავიწყება არ უწერია. არიან ადამიანები, ვისი წასვლითაც მიდის შენი ნანილიც. არ კვდები, მაგრამ ის აღარა ხარ, რაც იყავი. ეს ყველაფერი შენ განმაცდევინე, ჩემო ერთად-ერთო საფიცარო შვილო... უშენოდ ყველაფერი ჩემთვის არაფერია. შენ ჩემი დიდი ციხე-სიმაგრე იყავი, ახლა კი სრულიად მარტო ვარ.

კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს დიდი ტკივილით და ცრემლებით. ეს ცრემლები დაბადების დღის საჩუქრად მიიღე, ჩემო ილიკო, შენი უბედური დედისაგან. შევთხოვ უფალს, შენი სული დაამკვიდროს მართალთა შორის და შენს ყველა კეთილად მომხსენებელს კი მიმადლოს მრავალჟამიერი სიცოცხლე. შენთვის ვიცოცხლებ, სხვა რაღა დამრჩენია, დრო არ კურნავს, ის გაიძულებს შეეგუო.

შენი მონატრებული დედა ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე.

მეგობრები: ნანული ნატროშვილი, ლია ოზაშვილი, თამარ მოძღვრიშვილი, ნუნუ ცაკაშვილი, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ნანა ჭიჭინაძე თანაგრძნობას უცხადებენ მარინა მაჭავარიანს დედის

რუსუდან (ელისო) მაჭავარიანის

გარდაცვალების გამო.

„ჩვენ გავცემდით სითბოს და სიყვარულს...“

(მეხუთე გვერდიდან)

ღვაწლმოსილ აღმზრდელებს მიესალმნენ მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი,** კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი **ილია მარტყოფლიშვილი,** ლიტერატურულ ჟურნალ „ხორნაბუჯის“ რედაქტორი გიორგი ნატროშვილი, რომლებმაც დამსწრე მასწავლებლების ღვაწლთან ერთად, სიყვარულით გაიხსენეს თავისი აღმზრდელები, გაიხსენეს ის რთული 90-იანი წლები, როცა საბავშვო ბაღებში ელემენტარული პირობები არ იყო არც კვების, არც გათბობის, არც სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით და აღნიშნეს, რომ დღეს სკოლამდელი აღზრდა ქვეყნის მართვის პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს. მშობლები განთავისუფლებულნი არიან გადასახადიდან და ბაგა-ბაღები თითქმის სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს. ახლა ყველა ბავშვს და პედაგოგს აქვს საშუალება სრულად გამოავლინოს თავისი უნარი და ოსტატობა. აქვე, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ამ მშვენიერ ღონისძიებაზე დარბაზში არ ისხდნენ და ამ პათოსს არ იზიარებდნენ სკოლამდელი აღზრდის საკმაოდ დიდი კოლექტივის, მერიის, საკრებულოს ან ქალაქის მმართველობის წარმომადგენლები.

დარბაზმა სიამოვნებით მოისმინა და აპლოდისმენტებით გამოხატა თავისი ოვაციები **თამარ ბერიძის** და 1998 წლის „საუკეთესო წყვილის“ ტიტულის მფლობელი ოჯახის - **ლალი ბოჭორიშვილისა და ჯიმი ალუღიშვილის** მისალოცი გზავნილები, სადაც ისინი გულისტკივილს გამოთქვამდნენ, რომ ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ესწრებოდნენ ღონისძიებას.

აპლოდისმენტებით დააჯილდოვა მაყურებელმა პატარა დეკლამატორი **მარიამ ალუღიშვილი,** რომელმაც შესანიშნავად წაიკითხა ლექსი „მასწავლებელი“.

ღვაწლმოსილ პედაგოგთა პატივსაცემად გაიმართა კლასიკური მუსიკის აკადემიური კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ **მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინსტრუმენტალური ტრიო პიანისტ ია ბახტაძის, მევიოლინე ქეთევან თავშავაძის და ფლეიტისტ მაია ჯინჭველაშვილის შემადგენლობით. სპეციალური სტუმრის სტატუსით მოწვეული იყო საქართველოს სახელმწიფო ოპერის მე-20 და 21-ე საუკუნის ბრწყინვალე სოლისტი, სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლიანა კალმახელიძე.** ტრიოს მიერ ცოცხლად შესრულებულმა ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებებმა დამსწრეთა აღტაცება და მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა. ჩვეული ოსტატობით მოხიბლა მსმენელი ქალბატონი ლიანა კალმახელიძის მიერ შესრულებულმა არიებმა და მუსიკალურმა ნომრებმა. რეპერტუარი გაიხსნა „ლელას“ არიით. ოპერიდან „ლელა“, რასაც მოჰყვა ვაჟა აზარაშვილის, კახა ცაბაძის, დიმიტრი არაყიძვილის, სულხან ცინცაძის და სხვათა ნაწარმოებები. დარბაზი ოვაციებს ვერ ფარავდა და მოწონების ნიშნად მხურვალე აპლოდისმენტებით ეხმიანებოდა თითოეული ნომრის დამთავრებას, აღტაცების გამოსახატავად ხშირად ისმოდა შეძახილები „ბის“, „ბრავო“.

კონცერტის დასასრულს ქალბატონმა ლიანამ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას გულთბილი დახვედრისათვის და აღნიშნა: „კარგა ხანს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, გაწყდა კავშირი კლასიკური მუსიკის შემსრულებლებსა და რეგიონებს შორის. ახლა, თანდათან ისევ იდგამს ფეხს ძველი ტრადიციები, რაც გასახარია და მნიშვნელოვანი, რადგან მიმაჩნია, რომ პატივსაცემია ყველა მუსიკალური მიმდინარეობა, მაგრამ კლასიკა უკვდავია და შეუცვლელი. ამიტომ, მასთან ხშირი შეხება ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და დახვეწილობას ემსახურება. მადლობა, ვინც მობრძანდით და მოგვისმინეთ. ინანოს მან, ვინც ვერ, ან არ მოვიდა.“

ნიშნად მადლიერებისა, ჩამობრძანებულ სტუმრებს, ამ დღის აღსანიშნავად მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა დიპლომები. დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის დირექტორს ილია მარტყოფლიშვილს და ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს, რომელთა ძალისხმევითაც შედგა ეს მშვენიერი და დასამახსოვრებელი დღე. ღონისძიებას სპონსორობა გაუწიეს სასტურმო „დალის მთის“ მენეჯერმა ლია კობაიძემ და წარმატებულმა მეწარმემ მზია სეხნიაშვილმა.

ნაირა გორაშვილი

სიკეთე გადამდებია - იყავი კეთილი!

ალბათ, ყველა ადამიანი დაფიქრებულა, იმაზე, თუ რა არის ცხოვრების აზრი? იქნებ, ცხოვრების აზრი, სიკეთის კეთებაშია, ისეთი სიკეთის, რომელსაც არ ითვლიან, რომლის სამაგიეროსაც არ ითხოვენ, იმ სიკეთეში, რომელიც სამყაროს ალამაზებს და აძლიერებს?

სწორედ სიკეთის ძალამ გააერთიანა 12 ივნისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში მისული საზოგადოება, საზოგადოება, რომელმაც გადაწყვიტა, გვერდში დადგომოდა მათ თანამემამულეებს, თანარაინოელებს, უბრალოდ ერთ ქართულ, პაატა პატაშურის ოჯახს, რომელსაც ცხოვრებამ განსაცდელი მოუმზადა, განსაცდელი, რომელიც შეიძლება თითოეულ ჩვენგანს შეხვდეს ჩვენი არსებობის რთულ და ეკალ-ვარდიან გზაზე. საცხოვრებელი სახლის დაკარგვა, მის დასაბრუნებლად ბრძოლა მარტივი არ არის და ის რთული გადასატანია, მაგრამ გამოსავლის ძიებისას გვერდში მდგომი ადამიანების ნახვა სასიამოვნო და გასახარებელი ამბავი ნამდვილად არის. ღონისძიების წამყვანმა, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორმა, ცარო მარტიაშვილმა აღნიშნა, რომ „სანამ ქართველებს ერთმანეთის გვერდში დგომა შეგვიძლია, ჩვენ გაქრობა და გადაშენება არ გვემუქრებაო“. დიახ, ერს გაქრობა და გადაშენება არ უწერია, მაშინ როდესაც ის კეთილი საქმის გასაკეთებლად აერთიანებს ანსამბლებს, მომღერლებს, უბრალოდ რიგით ადამიანებს. ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი (ხელმძღვანელი: გელა გველუკაშვილი), ქორეოგრაფიული ანსამბლები „იმედი“ (ხელმძღვანელი: ხვიჩა ზუბიაშვილი) და „შირაქი“ (ხელმძღვანელი: ალექსი გაბრიელაშვილი), ვოკალური ანსამბლები „ედელვაისი“ (ხელმძღვანელი: ნინო ნიკვაშვილი) და „მანდილი“ (ხელმძღვანელი: დალი ელისაშვილი) - ეს იმ ადამიანების მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც საღამოზე მისული საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ სიკეთე გადამდებია, რომ ის ყველაფერშია, რასაც ადამიანი შეეხება და რომ ამის გადმოცემის ერთ-ერთი საუკეთესო და სწორი გზა ხელოვნებაა. საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც ორგანიზებული იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ, საოცრად ღამაზი, ქართული სულისკვეთებითა და მოტივებით იყო სავსე. ღონისძიებიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაეცა ოჯახს. თანხის შეგროვება კი კვლავაც გრძელდება.

„ძალიან მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც გვერდში დამიდგა და გაიზაირა ჩემი პრობლემა. ნამდვილად ღამაზი საღამო გამოვიდა“ - აღნიშნა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში პაატა პატაშურის მეუღლემ მაია პაპაშვილმა.

სიკეთის კეთება ადამიანის განუყოფელი ნაწილია, რომლის გარეშეც სიცოცხლეს ფასი ეკარგება. სიკეთის მარცვალი თითოეულ ადამიანშია, მთავარი მისი გაღვივებაა, რაც მხოლოდ ადამიანზეა დამოკიდებული. კეთილ საქმეს შეუძლია უკეთესობისკენ შეცვალოს სხვისი ცხოვრება. სიკეთე არასდროს იკარგება. ამ სამყაროში შეგიძლია იყო ისეთი, როგორიც გინდა. იყავი კეთილი! სიკეთე გადამდებია.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ულოცავენ!

ზურაბ (ჩალაბა) ჩალაბაშვილი

ჩვენო ძვირფასო და საამაყო მამა, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს- 70 წლისთავს, ისე გამოიყურები, რომ არავინ დაიჯერებს შენს ასაკს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

ყოფილიყავი მუდამ ხალისიანი, მხნე და ენერგიული. ღმერთმა მოგცეს ძალა სიკეთის საკეთებლად, რათა კიდევ მრავალი ჯანსაღი თაობა აღგეზარდოს სამშობლოს საკეთილდღეოდ. შენ ხარ ჩვენი დიდი იმედი, რომელმაც საკუთარი მხრებით მოიტანე დღემდე ჩვენი ოჯახი მეუღლესთან ერთად.

ჩვენ ვაფასებთ შენს დიდ შრომას, რომელმაც სამივე შვილი დაგვაოჯახე და ცხოვრების გზაზე დაგვაყენე, სულ სიკეთე გვესმოდეს შენი. უფალი იყოს შენი მფარველი.

მეუღლე: მარგო იაკობიშვილი,
შვილები: ვასო, ნათია და მამუკა ჩალაბაშვილები ოჯახებით.

ჩვენო ზურაბ, გილოცავთ საიუბილეო თარიღს. თქვენ მართლაც გამორჩეული ადამიანი ხართ. განუკითხაობის პერიოდში საკუთარ ჯიბეზე კი არ იზრუნე, არამედ იმაზე, რომ ფეხბურთის გუნდი შეგენარჩუნებინა რაიონისთვის. თქვენი განვლილი ცხოვრება და სიყვარული ბავშვებისა და ფეხბურთისადმი მართლაც რომ სამაგალითოა.

გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა კიდევ დიდხანს ემსახუროთ თქვენს საყვარელ საქმეს!

სიყვარულით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი.

ეთერ ბაცაცაშვილს!

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდაო“ - უთქვამს იოსებ ნონეშვილს. ჩვენთვის თქვენ ის მასწავლებელი ხართ, რომელიც აუცილებლად უნდა გვყოლოდა - თბილი, ერთგული, გამგებიანი, მზრუნველი, მუდმივად გვერდში მდგომი. ამიტომაც, ჩვენო თბილო და საყვარელო ეთერი მასწავლებელო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ულევ სიყვარულსა და პროფესიულ წარმატებას. ამბობენ, ღმერთი აუცილებლად მოგვცემს იმას, რასაც გულით ვთხოვთ და რასაც ადამიანი იმსახურებსო. თქვენ კი ბედნერებას ნამდვილად იმსახურებთ. მუდამ ასეთი ენერგიული, ბედნიერი და ღიმილიანი სახით გვენახეთ. უფალი გფარავდეთ!

სიყვარულითა და პატივისცემით,
არგოშიკის საჯარო სკოლის მეათე (სადამრიგებლო) კლასი

ყურადღება!

22 ივნისს, დედოფლისწყაროს მრავალპროფილურ კლინიკას **ეწვევა თბილისის ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის კვალიფიციურ ექიმთა ბრიგადა,** რომელიც ჩაატარებს უფასო სამედიცინო კვლევებს დედოფლისწყაროელი ნორჩი პაციენტებისთვის.

პაციენტებს მოემსახურებიან სპეციალისტები:

- ბავშვთა ქირურგი;
- ყბა-სახის ქირურგი;
- ყელ-ყურის ექიმი;
- ტრავმატოლოგ-ორთოპედი;
- პედიატრი;
- ენდოკრინოლოგი;
- ნევროლოგი;
- ოფთალმოლოგი (თვალის ექიმი);
- ექოსკოპისტი.

მიღება დაიწყება 11 საათიდან და მთელი დღის განმავლობაში გასტანს.

აქცია ხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 17.06		სამშაბათი 18.06		ოთხშაბათი 19.06		ხუთშაბათი 20.06		პარასკევი 21.06		შაბათი 22.06		კვირა 23.06	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	26 °	23 °	24 °	24 °	23 °	22 °	26 °	24 °	23 °	22 °	27 °	25 °	27 °	24 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.